ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ დაპოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა :

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

ნინო ძიძიგური

ქართველი ქალების როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში (XIX ს-ის მეორე ნახევარი-1918 წელი)

ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევათა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი ირაკლი ჩხაიძე

კულტურის კვლევათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2018

სარჩევი

ანოტაცია.....3

შესავალი.....6

თავი I თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

1.1 თეორიული ჩარჩო.....11
1.2მეთოდოლოგია.....16

თავი II ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან.....18

თავი III ქართული ნაციონალური პროექტი და ქართველი ქალები….....24

თავი VI პირველი ქართველი ქალები პოლიტიკაში…….31

4.1 „დამფუძნებელი დედები“.....42

დანართი 1. ვაჟა-ფშაველა ქალთა უფლებების შესახებ.....48

დანართი 2. მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მიხედვით.....49

დანართი 3. საქართველოს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი.....51

დასკვნა.....52

გამოყენებული ლიტერატურა.....55

სატიტულო ფურცელი ინგლისურად.....59

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია ქართველი ქალების როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში. კვლევის მთავარი მიზანია, გამოვლინდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოებისთვის ნაციონალური გრძნობების გაღვივებაში ქალების საქმიანობა და მათ მიერ გაწეული შრომა. აქცენტი ასევე გაკეთებულია ქალთა მოძრაობის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინაპირობებზე. ხაზგასმულია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ქალის სტატუსი და ამ სტატუსის შეცვლისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები. ნაშრომში, ასევე, წარმოდგენილი იქნება მცდელობა, გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდა ქალების როლის ფორმირებას ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ნაშრომში წარმოდგენილი მასალების თანახმად, გამოიკვეთა ქალების როლი საზოგადოებაში და გავლენა ნაციონალიზმისა და ერვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში.

საკითხი აქტუალური იყო როგორც იმ პერიოდში, როდესაც აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა, ასევე, დღესაც.საინტერესოა როგორ ახდენდნენ ქალები იმ დროს არსებულ რეალობაში რადიკალური ნაბიჯები გადაედგათ და ვინ და როგორ უწყობდა ხელს მათ მიერ წარმოებულ საქმიანობაში. უნდა ავღნიშნო ისიც, რომ აღნიშნული საკითხი შესწავლილი არ არის და მხოლოდ პირველწყაროები არსებობს.

მოცემული ჰიპოთეზის დადასტურების მიზნით ნაშრომის ფარგლებში ყურადღება ექცევა ყველა იმ ფაქტსა და მოვლენას, რომელმაც ირიბი ან პირდაპირი როლი ითამაშა ქალთა საკითხის წინ წამოწევაში. ისევე როგორც მის შემდგომ განვითარებასა და მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევაში. ეს ყველაფერი რაღა თქმა უნდა თავსდება ნაციონალიზმის ფორმირებასა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების ჭრილში.

თეორიული ჩარჩოს გამოყენების გზით ტექსტი დაყოფილია ოთხ თავად. პირველი თავი ეხება მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს. მეორე თავში არის აღწერილი ქართული ნაციონალიზმის მოკლე და ზოგადი ისტორია. მესამე თავი მოიცავს

ქართული ნაცონალიზმის ფუძებდებლების სტატიებს, წერილებს და მოსაზრებებს ქალებზე, როგორც ნაციონალიზმის ფორმირებაში შემავსებელ ელემენტებზე. მეოთხე თავში წარმოდგენილია ქართველ ქალებზე და მათ როლზე ნაციონალიზმის ფორმირებაში, მათ საქმიანობასა და მოღვაწეობაზე და მათ მიერ მიღწეულ შედეგებზე.

Role of Georgian Women in formation of Georgian Nationalism (the second half of the 19th century-1918)

Annotation

Nino Dzidziguri

The present thesis sets out the role of Georgian women in formation of Georgian nationalism. The main goal of the research is how important were women's activities in building of national feelings of Georgian society. The emphasis is made on social, political and economic preconditions of women's movement in Georgia. There will also be an attempt to outline the main factors that shaped the role of women in forming and developing the Georgian self-consciousness. According to the materials presented in the work, the role of women in society and the influence of nationalism and self-consciousness have been identified.

The topic was popular when the process was ongoing, as well as today. It is interesting how women made radical steps at that time and and how they worked in their activities. It should be noted that the mentioned issue has not been studied and there are only the primary sources.

Within the scope of this hypothesis, attention is paid to all the facts and events that have an indirect or direct role in promoting women's issues. The topic this is going to be made in the formation of nationalism and the emergence of national self-consciousness.

By using theoretical framework and methodological structure the text is divided into four chapter. The first chapter deals with methodology and theoretical framework. The second chapter describes the short and general history of Georgian nationalism history. The third chapter contains articles, letters and opinions of folkloric fossils on women as elements of the formation of nationalism. The fourth chapter presents Georgian women and their role in forming nationalism, their activities and their achievements.

შესავალი

ნაშრომის კვლევის საგანია ქართველი ქალების როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში მეცხრამეტე-მეოცე საუკუნების მიჯნაზე. კვლევის მთავარი მიზანია, გამოვლინდეს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოებისთვის ნაციონალური გრძნობების გაღვივებაში ქალების საქმიანობა და მათ მიერ გაწეული შრომა.

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში, ქალთა მოძრაობები და მათ მიერ წარმოებული საქმიანობა გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე.

ჩემი მიზანია ემპირიული მასალების საშუალებით გამოვიკვლიო რა როლი ჰქონდათ ქალებს იმ პერიოდის საქართველოში, რა რეალობაში უწევდათ მოღვაწეობა, რა ახდენდა მათზე გავლენას, და საბოლოო ჯამში მათ მართლა შეძლეს თუ არა ქართული ნაციონალიზმის ისტორიაში თავიანთი სიტყვის თქმა.

1860-იანი წლებიდან ქართული ნაციონალიზმის ფორმირებისა და განვითარების პროცესის პარალელურად იწყება საუბარი ქალთა როლსა და უფლებებზე. ამას იწყებენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა– ფშაველა, ნიკო ნოკილაძე და სხვები. საბოლოოდ პროცესი 1900–იანი წლებიიდან ქალთა უფლებების შესახებ აქტიურ დისკუსიაში და ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბებაში გადაიზარდა.

საკვლევ პერიოდში ასევე იდგმებდა აქტიური პრაქტიკული ნაბიჯები ქალთა უფლებების დაცვის და მათი აქტიური სოციალური როლის უზრუნველსაყოფად. არაერთი მანდილოსანი ჩადგა ამ მართლაც მნიშვნელოვანი საქმის კეთების სათავეში. დღეს მათი სახელები უკვე ყველასთვის ცნობილია, თუმცა დაწვრილებით მათი საქმიანობის შესახებ ცოტამ თუ იცის. შეუფასებელია ამ ქალების მიერ შესრულებული სამუშაო. გასათვალისწინებელია ის პერიოდი და გარემო როცა ისინი მოღვაწეობდნენ. არათუ საქართველოში, არამედ ევროპისა და ამერიკის

განვითარებულ ქვეყნებშიც კი იმ დროისთვის რთული იყო ქალებისთვის თავის დამკვიდრების პროცესი და ბრძოლა მათი ბუნებრივი უფლებებისთვის.

პროცესს, რომელიც საქართველოს მაგალითზე უნდა განვიხილოთ, გაიარა ან ახლაც გადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები. საერთო მათ ბევრი აქვთ, თუმცა მაინც ყოველი შემთხვევა უნიკალურია, რადგან ყოველ მათგანზე გავლენას სხვადასხვა პროცესები ახდენდნენ. შევეცდები გამოვიკვლიო ყველა ის მიზეზი, რომელიც საქართველოში დაეხმარა ან პირიქით, ხელი შეუშალა ქალებს, დაეცვათ და მოეპოვებინათ საკუთარი უფლება და თავი დაემკვიდრებინა, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეს და ქართული საზოგადოების ნაწილს. აუცილებლად შევეხები თერგდალეულების როლს, რომელთაც თავი არ დაუზოგავთ, რომ ხელი შეეწყოთ აქტიური ქალებისთვის, თავიანთ საქმიანობაში.

მეცხრამეტე საუკუნე ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პერიოდია. ან პერიოდში მკვიდრდება აზროვნების ახლებური ტიპი, ჩნდება განსხვავებული მოთხოვნილებები, იდეები. ამ ეპოქამ წინ წამოწია მრავალი პრობლემა, რომელსაც მანამდე საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი იყო ქალთა ემანსიპაცია. მასზე მთელი ევროპა და ამერიკა მსჯელობდა. ამ პროცესს არც საქართველო ჩამორჩა. აღნიშნული პერიოდი, ჩვენი ქვეყნისთვის, სოციალური მოძრაობის გამოცოცხლების დროა, რაც იგრძნობოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. „დროების“ ფურცლებზე აღბეჭდილია არაერთი ფაქტი, რომელიც ამას ადასტურებს.

აღსანიშნავია ქალთა მონაწილეობა, იმ დროის მიმდინარე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი მომხრე იყო ქალთა სქესის საზოგადოებრივ ასპარეზზე, აქტიური მოქმედებისა, რომელთაც მხარი ქართველმა ქალებმაც აუბეს, არა მარტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაც. ამის ნათელი მაგალითია მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებული ქალთა ორგანიზაციები. ქალები რომ მარტო სიტყვით არ ცდილობდნენ საკუთარი უფლებების დაცვას და ემანსიპაციის პროცესის ხელშეწყობას, ბარბარე ჯორჯაძის მოღვაწეობაც ადასტურებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ის ღირსეულ მეტოქეობას უწევდა, თვით ილია ჭავჭავაძეს, „მამათა და შვილთა ბრძოლაში“.

ბარბარე ჯორჯაძე საინტერესო პიროვნება იყო. აღსანიშნავია, მისი სტატია „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, სადაც საუბრობს ქალთა, კაცების მიერ, დაჩაგრულ მდგომარეობაზე. ამის მთავარ მიზეზად მიაჩნია ის, რომ ქალებს არ ეძლეოდათ საშუალება, მიეღოთ სრულფასოვანი განათლება, ეცხოვრათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ეღვაწათ კაცების მსგავსად და თავად ყოფილიყვნენ საკუთარი ბედის წარმმართველნი. „..გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება. თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა“[1]-წერს კნა ბ. ჯორჯაძე.

არა მარტო ბარბარე ჯორჯაძე და გამოჩენილი ქალები, არამედ საზოგადოებისთვის უცნობი მანდილოსნებიც ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ, დედათა ემანსიპაციის საქმეში. ამას ადასტურებს „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილი „რამდენიმე შენიშვნა ერთის უდროოთ გათხოვილის ქალისა“…ავტორი წერს, რომ თავის დაქორწინება არც კი ახსოვს, რადგან მშობლებმა, მის უკითხავად, გადაწყვიტეს 14 წლისა გაეთხოვებინათ… შემდეგ ცუდი ცხოვრება დაუდგა ქალს… ის წუხდა, „დედ-მამას თავის შვილზე ისეთი უფლება აქვთ, როგორც რაიმე ნივთზეო“(„დროება“, #119, 1882 წელი).

ქალთა ემანსიპაციის მეტად მნიშვნელოვან პროცესში უდიდესი წვლილი მიუძღვის კეკე (ეკატერინე) მელიქიშვილ-მესხისას, რომელიც პეტრე მელიქიშვილის და და სერგეი მესხის მეუღლე გახლდათ. კეკე ხშირად აქვეყნებდა, ამ თემაზე, წერილებს.. „დროებაში“ უძღვებოდა რუბრიკას „დედა-კაცების აზრი დედა-კაცებზედ“. წუხდა იმის გამო, რომ ქალებს არ ჰქონდათ საკმარისი თავისუფლება, რათა ეზრუნათ სახელმწიფოს კეთილმდგომარეობისათვის, გამოეყენებინათ თავიანთი ნიჭი, დრო და შესაძლებლობები საზოგადოებისთვის, როგორც მის სრულფასოვან წევრებს.

ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი წალი მწვავედ განიცდიდა ამ პრობლემას. 1875 წლის #68 „დროება“ აქვეყნებს ცნობას, ახალგაზრდა ქალის

[1] http://gdi.ge/ge/publication/barbare-djordjadze.page

თვითმკვლელობის შესახებ, რომელსაც შემდეგი წერილი დაუტოვებია: „საზოგადოებისთვის გამოუდეგარი ადამიანი არავისთის საჭირო არ არის. ამისთანა გამოუდეგარ სულდგმულად მიმაჩნდა მე ჩემი თავი და იმიტომ ვშორდები ამ ქვეყანას. ამიტომაც ჩემს სიკვდილს ტყვილუბრალოდ ნურვინ ინაღვლებს“(დროება, #68,1875).

კეკე მელიქიშვილი-მესხისა საუბრობს ქალის უპირატესობებზე, რომელიც დაჩაგრული იყო იმ პერიოდში, რადგანაც მიიჩნეოდა, ქალის ნიჭიერება ახლოს ვერ მივიდოდა მამაკაცის შესაძლებლობებთან. ამას ცხადად ეწინააღმდეგენა, იმ დროის მონაცემები, რომელიც „დროებაში“ მოვკრიბეთ. უამრავი ცნობაა დაბეჭდილი, საქალებო კურსების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების წარმატებული მოღვაწეობის შესახებ. გაბატონებული თვალსაზრისის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ მოწინავე ქალებიც. „დროება“ იყო ის ასპარეზი, მძლავრი იარაღი, რომელლითაც ისინი ებრძოდნენ პატრიარქალური საზოგადოებას.

ყურადღება მიიპყრო 1873 წლის 11 მაისის „დროების“ კორრესპონდენციამ- „პეტერბურღიდამ 25 აპრილს“. სტატიის ავტორი, ელენე ყაზბეგი, პეტერბურგის და თბილისის ცხოვრებას ადარებს ერთმანეთს. აღნიშნავს, რომ მიუხედავას პეტერბურგში ქალებისთვის გახსნილი სასწავლებლების სიმრავლისა (სადაც ღარიბი მშობლების შვილებსაც შეეძლოთ სწავლა), სტუდენტებს შორის არცერთი ქართველი ქალი არ იყო.ავტორი წერს : *„ჩვენი ბედნიერება ქმარში კი არა, ამისთანა გონებითს ცხოვრებაში იქნებოდა, როდესაც ჭირში და ლხინში ჩვენს მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით, ერთნაირი თვალით შევხედავდით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გვექნებოდა მომავალში, ერთ საქმეს ვემსახურებოდით და შევიქმნებოდით ყოვლად ღირსნი ჩვენი ძმებისა და მომავალი ქმრებისა“. (დროება,1873, 11 მაისი).*

ქალთა მოძრაობას და, ზოგადად, ამ იდეის ჩამოყალიბებას საქართველოში, ხელი შეუწყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მამაკაცების აქტიურ ჩაბმულობას ამ პროცესში. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის წერილი „დედათა ემანსიპაციის შესახებ“, აკაკი წერეთლის „რამოდენიმე სიტყვა შესახებ კნა ბარბარე ჯორჯაძისა“, სერგეი მესხის „საქართველო – ქალი მასწავლებლები“ და ა.

შ. ყველა ესენი ემსახურებოდა ერთ იდეას-საზოგადოებისთვის საჭირო იყო, ქალის ფუნქციები გასცილებოდა ოჯახს და მას მონაწილეობა მიეღო, ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში, მამაკაცთან ერთად.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „დროებაში“ ხშირად იბეჭდებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები, ქალის შესახებ, რომელთაც გარდა წმინდა მხატვრული ღირებულებისა, ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა-ფაქტობრივად ეს იყო მაგალითები იმისა, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ, ან როგორ არ უნდა ეცხოვრათ მანდილოსნებს, ამქვეყნად ღირსეული არსებობისთვის.

თავი 1

თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

1.1 თეორიული ჩარჩო

გამომდინარე იქიდან, რომ ნაციონალიზმი უმეტესად ყალიბდება მამრობითი სქესის მონაწილეობით, ქალები და მათი როლი ხშირად შემოიფარგლება როგორც, დამხმარე სიმბოლო. არსებობს მოსაზრება, რომ ნაციონალისტურ მოძრაობაში არსებობს შრომის მკაფიო განცალკევება, რომელშიც ქალები ფიზიკურად და სიმბოლურად აერთიანებენ ერს. ნაციონალური იდენტობის მამოძრავებელი ხშირად ქალები და დედები არიან, როგორც ერის, ტრადიციებისა და ფასეულობების ბასტიონი. ქართველი ქალების როლს ნაციონალიზმის გაღვივების პროცესზე ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის ჩარჩოში განვიხილავ. ეს თეორია, ერების და ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ, ისევე როგორც კულტურულ ფაქტორებს. (დავითაშვილი,2003.117გვ). ზემოთ აღნიშნულის დასაბუთებაში ასევე დაგვეხმარება ბენედიქტ ანდერსონის, ერნესტ გელნერის და სხვათა თეორიები ნაცინალიზმის შესახებ.

ბენედიქტ ანდერსონი, თავის ნაშრომში, „ერს“ ხსნის შემდეგნაირად: ერი არის წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობა, რომელიც არსებითად სუვერენულიცაა და შეზღუდულიც. ერი წარმოსახვითია იმდენად, რამდენადაც ყველაზე პატარა ერთობის წევრებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს პირადად, თუმცა მათი ყოფის სპეციფიკა განპირობებულია საერთო წარმოსახვითი იდეებით. ყოველი საზოგადოება სხვადანარჩენისგან განსხვავდება იმით,თუ როგორ ხდება მისი წარმოსახვა. (Anderson, 2006, 6გვ). ერის კონცეფცია შეზღუდულია, რადგან არცერთი საზოგადოება არ განიხილავს თვას როგორც მთელ კაცობიობას. ყველა საზოგადოება აცნობიერებს, რომ მისი წრის გარეთ არის კიდევ სხვა. ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, „ჩვენ“ და“სხვის“ არსებობა უფრო მტკიცეს ხდის ერთობის შეგრძნებას. ბენედიქ ანდერსონი გვეუბნება, რომ ერი არის წარმოსახვითი საზოგადოება. მისთვის

საინტერესოა, რა აიძულებთ აღნიშნული წარმოსახვითი საზოგადოების წევრებს, თავი გადადონ ასეთი ერთობისთვის. მისი აზრით ამ კითხვაზე პასუხი ერის კულტურის ისტორიაში უნდა ვეძებოთ.

ანდერსონის მიხედვით, ერი, როგორც წარმოსახვითი საზოგადოება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში- მაშინ, როდესაც დგება ე.წ. „ბეჭდვითი კაპიტალიზმის“ ეპოქა და წიგნების, გაზეთების და ჟურნალების ბეჭდვა მოსახლეობის მშობლიურ ენაზე კომერციულ ხასიათს იღებს. ცალკეული პიროვნებების (რომლებსაც ანდერსონი პილიგრიმებს უწოდებს და რომელთა მისიაც ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული ტერიტორიის გამოკვეთაა) ძალისხმევით ყალიბდება ერთიანი კულტურის, საერთო ბედის, ისტორიისა და წინაპრების „წარმოსახვა“, შექმნა და განმტკიცება (დავითაშვილი,2003,122გვ). ქართულ რეალობაშიც, ბეჭდვითი მედიის არსებობამ მისცა ქალებს საშუალება გაევრცელებინათ საკუთარი შეხედულებები, წამოეწიათ მათი როლი საზოგადოებივ ცხოვრებაში.

ანდეროსნი საუბრობს მოვლენათა თანადროულობაზე და მის როლს ნაციონალიზმში. მე-18 საუკუნიდან თანადროულობის ფაქტორი ძლიერდება ხალხებში და ხელს უწყობს წარმოსახვითი საზოგადოების ჩამოყალლიბებას. ანდრსონი აღნიშნული ტრანსფორმაციის ორ ფორმას გამოყოფს: მწერლობასა და ბეჭდურ მედიას. მისი აზრით, სწორედ ამ მექანიზმებით ხდება წარმოსახვითი საზოგადოების კვლავწარმოდგენა და მათი ერებად ჩამოყალიბება (Anderson,2006, 25 გვ). არაერთ გაზეთში იბეჭდებოდა ქალთა სტატიები ეროვნულ მოტივებზე. 1917-1918 წლებში კი თავად ქალების მიერ დაარსებული ყოველკვირეული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოდიოდა. პრესა, ბეჭდვითი მედია „წარმოსახვითი საზოგადოების“ მიხედვით ის სივრცეა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოსახვით კავშირებს სხვადასხვა მოვლენებს შორის. არნიშნული მოვლენები განთავსებულია გაზეთის ნომერში, რომელსაც ერთი გამოშვების თარიღი აქვს, რითაც ანდერსონი კიდევ ერთხელ გვახსენებს თანადროეულობის ფაქტორის მნიშვნელობას ერის წარმოსახვითობის კვლევაში(Anderson,2006.33გვ) გარდა მითითებული თარიღისა, მნიშვნელოვანია ბეჭდური მედიისა და მომხმარებლის ურთიერთობა, როგორც,

მოვლენებს შორის წარმოსახვითი კავშირის წარმოქმნისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ბეჭდური მედიის ფაქტორი ნაციონალიზმის წარმოშობაში მნიშვნელოვანია სამი მიზეზის გამო: პირველ რიგში ბეჭდურმა მედიამ შექმნა საერთო ენა, ამ ენის საშუალებით ერთობის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ერთსა და იმავე მილიონობით მათნაირი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ადამიანებმა უკეთესად გაუგეს ერთმანეთს და მათ შორის კომუნიკაცია გააქტიურდა. ამას გარდა, ბეჭდურმა მედიამ ხალხში ენისადმი ლოიალობა დაამკვიდრა, რაც ნიშნავდა იმას, რომ მკითხველებს უკვე აერთიანებდათ ერთი და იგივე, ყველასათვის გასაგები ენა, რამაც თავის მხრივ მოსპო ფენების ინდივიდუალობა და მათ ერთიანობას გაუსვა ხაზი. ენის, სხვადასხვა დიალექტების ორგანიზებულმა განფენილობამ, რაც რა თქმა უნდა პრესაშიც აისახა, მოაწესრიგა სხვადასხვა ერთობის ადმინისტრაციული დაყოფის აღქმა ხალხებში (Anderson, 2006, 45-45 გვ).

ბენედიქტ ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოება“ ნათლად ხსნის, როგორ ხდება საზოგადოების წარმოსახვა, და რა როლი აქვს ამ პროცესში პრესას და ენას. ქალთა ასპარეზზე გამოსვლა იქნებოდა ეს პრესა თუ საჯარო გამოსვლები ამ პროცესის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. გაზეთებსა, სტატიებსა და წერილებს ათასობით მკითხველი ჰყავდა და ის აერთიანებდა სხვადასხვა მხარეში მცხოვრებ ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათ ჰქონდათ საერთო აზრი და მიზანი.

მოდერნისტული თეორიის სოციალურ-კულტურულ ტრანსფორმაციაზე საუბრობს ერნესტ გელნერიც. ის გვეუბნება, რომ „მაღალი“ კულტურა, რაც ერთიან ლიტერატურულ ენას და ერთიან განათლების სისტემას ემყარება, ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე- საზოგადოების სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრები არიან ქალებიც. ამგვარად ხდება კულტურის ჰომოგენიზაცია. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მაღალი სოციალური მობილობა (დავითაშვილი,2003,118გვ). გელნერი გვეუბნება, რომ ნაციონალიზმი ინდუსტრიული სოციალური ორგანიზაციის შედეგია. ამ პროცესის ნაკლოვანებაა ის, რომ პოტენციური ერების რიცხვი ბევრად აღემატება ერების რაოდენობას, რომლებიც სინამდვილეში აკმაყოფილებენ

მოთხოვნებს. ხოლო ძლიერი მხარეა ის, რომ ის განსაზღვრავს პოლიტიკური ერთეულების კანონიერების ნორმებს თანამედროვე მსოფლიოში.

საბოლოოდ, გელნერის მოსაზრებაა, რომ ერები არსებობდენ მხოლოდ ნაციონალიზმის ეპოქაში. ისინი წარმოიშვებიან მაშინ, როდესაც ყალიბდება სტანდარტული, ჰომოგენური კულტურა, რომელიც თავის მხრივ მხარს უჭერს და იფარავს ცენტრალურ ხელისუფლებას და მოიცავს არა მხოლოდ ელიტარულ უმცირესობებს, არამედ მთელ მოსახლეობას (დავითაშვილი,2003,119გვ).

მოდერნისტული თეორიის კიდევ ერთი მიმართულებაა პოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელსაც ვთვლი რომ კავშირი აქვს წინამდებარე თემასთან. აღნიშნულ თეორიაზე არაერთი ავტორი საუბრობს. ისინი ნაციონალიზმისა და ერების წარმოშობის მიზეზად თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებას თვლიან.

ჯონ ბროილი თავის წიგნში „ნაციონალიზმი და სახელმწიფო“, ასკვნის, რომ ნაციონალიზმი პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მიისწრაფვის ძალაუფებისკენ და ამრთლებს თავის მოქმედებას ეროვნული არგუმენტებით. ბროილი თვლის, რომ ნაცინალიზმი თავისი შინაარსით არის პოლიტიკა, პოლიტიკა კი არის ძალა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ხელშია. ნაციონალისტური იდეები ემსახურება მანამდე პოლიტიკური პროცესებიდან გვერძე მდგომი ფართო მასების პოლიტიკური მოძრაობის მხარდაჭერას და ლეგიტიმაციას, როცა ნაციონალისტური იდეები გამოიყენება პოლიტიკური მოძრაობის გასამართლებლად (დავითაშვილი,2003,108გვ).

ერიკ ჰობსბაუმი პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიის კიდევ ერთი წარმომადგენელია. ჰოფსბაუმი ეთანხმება გელნერს ნაციონალიზმის დეფინიციასთან დაკავშირებით- ეს არის იდეოლოგია და მოძრაობა, რომელიც მოითხოვს პოლიტიკური და ეროვნული ერთობების ერთმანეთთან თანხვედრას. ჰოფსბაუმის აზრით, ნაციონალიზმი მიეკუთვნება ისტორიის თანამედროვე პერიოდს. თავის წიგნში „გამოგონილი ტრადიცია“, ის გვეუბნება, რომ ნაციონალიზმის წარმოშობა უნდა განვიხილოთ პოლიტიკის, ტექნოლოგიის და ტრანფორმაციის ჭრილში.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ტრანსფორმაციის მიმართულება ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა და მომხრე უფრო ბევრი ჰყავს ვიდრე მოწინააღმდეგე.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში აქტიური ნაბიჯები იდგმება ქალთა როლის ზრდაზე და მათ ჩართულობაზე სამოქალაქო ცხოვრებაში. ეს სწორედ ის პერიოდია, რომელიც ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას უკავშირდება ქართულ რეალობაში. ემპირიული მასალის წარმოდგენისას ნათლად გამოჩნდება, რომ ქართულ ნაციონალიზმი შეიცავდა გარკვეულ სამოქალაქო ელემენტებსაც, ამ შემთხვევაში მინდა ყურადღება გავამახვილო სამოქალაქო ნაციონალიზმის ელემენტებზე ქართულ ნაციონალიზმში.

ზოგადად, სამოქალაქო ნაციონალიზმი ხასიათდება, როგორც ლიბერალური, მოხალისეობრივი, უნივერსალური და ინკლუზიური. ნაციონალიზმის ეთნიკური და სამოქალაქო კლასიფიკაციის საწყისები ჯერ კიდევ ჰანს კონის შეხედულებებში შეგვიძლია ვეძებოთ. კონი თავის ერთ-ერთ მთავარ შრომაში „ნაციონალიზმის იდეა“, რომელიც 1944 წელს გამოვიდა ცდილობდა ეპოვა განსხვავებები დასავლეთში არსებულ ნაციონალიზმის უფრო კეთილ ფორმასა და მის არადასავლურ სახესხვაობებს შორის. ნაციონალიზმის დასავლური ფორმები დაფუძნებული იყო იდეაზე, რომ ნაცია წარმოადგენს მოქალაქეთა რაციონალურ ასოციაციას, გაერთიანებულს საერთო კანონებით და საზიარო ტერიტორიით, მაშინ როდესაც მისი არადასავლური სახესხვაობები, საერთო კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის რწმენას ეფუძნება და ნაციას განიხილავს როგორც ურღვევ, ერთიან, ორგანულ, ინდივიდუალურ წევრებზე მაღლა მდგომ ორგანიზმს, რომელიც დაბადებიდან დაგყვება და ნაციონალურ დაღს გასვამს (ჩხაიძე,2009).

თუმცა,ზოგადად ქართული ნაციონალური პოლიტიკა ატარებდა გაუაზრებელ ხასიათს, არ არსებობდა სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოცდილება. მიუხედავად აღნიშნული სამოქალაქო თავისებურებებისა, ქართული ნაციონალიზმი მაინც გამოხატულად ეთნიკურ ხასიათს ატარებდა.

მიროსლავ ჰროშის მოდელის მიხედვით ნაციონალიზმიჩამოყალიბებისას შემდეგ ეტაპებს გადის: პირველი, (A), ეს არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ

სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფომას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე (B) -„პატრიოტების“ ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და მესამე (C) - საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია. ემპირიულ მასალებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეული თავისებურებებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ თავსდება წარმოდგენილ მოდელში და ნაციონალური ორიექტი სწორედ ამ გზით განვითარდა (ჩხაიძე,2009).

და ბოლოს, უნდა შევეხო ნაციონალური იდენტობის პოლიტიკური განზომილებას. ერთიანი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბება განიხილება, როგორც მრავალეთნიკური და მრავალკულტურული სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ძირითადი გარანტი. იგი უახლოვდება სამოქალაქო ნაციონალიზმის ცნობილ იდეას, სადაც სახელმწიფოსადმი მოქალაქის ლოიალურობა უმთავრესი ღირებულებაა, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიური კუთვნილებისა და ა.შ. პოლიტიკური ერთობა გულისხმობს საერთო ინსტიტუციების და ამ ერთობის წევრთათვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას.

1.2 მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება როგორც პირველწყაროებს, კერძოდ, გაზეთებს, სტატიებს და სხდომებზე მიღებულ რეზოლუციებს, ასევე სხვადასხვა, მკვლევართა დისერტაციებს, სტატიებს, ნაშრომებსა და წიგნებს, მრავალრიცხვოვან ელექტრონულ რესურსებს.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, განსხვავებულ წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაციების შედარებითი ანალიზი.

იმისათვის, რომ ქალების მოღვაწეობის როლსა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას შორის ლოგიკური კავშირი დავინახოთ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდოლოგია. დისკურს-ანალიზის გზით ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული პერიოდის პრესის მიმოხილვა. მონაცემთა დამუშავების პროცესში ობიექტურობის შესანარჩუნებლად ვიყენებ როგორც უშუალოდ ქალების მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს, წერილებს, მასალებს მათი მუშაობის შესახებ, ასევე სხვათა მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს და შეფასებებს. მაგალითად, პირველი ქალთა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ და „დროება“, ისევე, როგორც „ივერია“ და სხვა გაზეთები. პირველი მათგანი უშუალოდ ქალების მიერ იყო დაარსებული, ხოლო დანარჩენ მათგანში ხშირად ვხვდებოდით რუბრიკებს, რომლებიც მანდილოსნებს ეკუთვნის, ასევე სტატიებს თერგდალეულების მიერ. აღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ნათლად ასახავს იმ დროს მიმდინარე მოვლენებს და კარგად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ფესვები, დაგვეხმარება იმ ზოგადი რიტორიკის წარმოსაჩენად, რომელიც იმ დროისთვის ქართულ საზოგადოებაში არსებობდა.

თავი 2

ქართული ნაციონალიზმის სათავეებთან

როგორც ვიცით ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება მეცხრამეტე საუკუნეში ხდება, როდესაც ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი გამოდის პოლიტუკურ, სამოქალაქო თუ კულტურულ ასპარეზზე. ქართულ ნაციონალისტურ დისკურსთან ყველაზე ხშირად ილია ჭავჭავაძის „ენა, მამული, სარწმუნოება“ ასოცირდება. გია ნოდია ილიას ამ ტრიადას ეროვნული იდენტობის ნიშნებს უწოდებს, რომლებიც წარმოადგენს მთავარ საფუძველს, ბაზისს, რასაც ემყარება ქართული ნაციონალიზმი, ანუ ქართველი ერის იდეა.

ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებში ინტელექტუალები მიიჩნევიან რაციონალურ აქტორებად, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ხალხის შეკავშირებაში, ნაციის შემადგენელი ნაწილებისა და მისი საზღვრების დადგენაში. ინტელექტუალები ნაციისა და ნაციონალიზმის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემოქმედნი არიან. სწორედ, ისინი აყალიბებდნენ ნაციონალური იდენტობის იდეოლოგიას, ასრულებდნენ „წარმოსახვით სამუშაოს, რომელიც აერთიანებს განცალკევებულ კულტურული ელემენტებს, შერჩევით ისტორიულ მეხსიერებებს, ინტერპრეტაციებს, ამავე დროს, გვერდზე გადადებდნენ არასახარბიელოსა და არაგმირულს“ (გოგიშვილი; 2016, 70 გვ).

მე-19 საუკუნის ნაციონალისტი ინტელექტუალებისათვის, ნაცია იყო ბუნებრივი ერთობა და კაცობრიობა ამ ბუნებრივი ერთობებისაგან შედგებოდა. ყოველი ერთობა კულტურულად უნიკალური იყო. ამ გაგებას ეფუძნებოდა მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები: ნაცია ადამიანთა მთავარი ლოიალურობის წყაროა; პოლიტიკური ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, რომელიც ორგანიზებულია “ნაციად”; ნაციას უფლება აქვს ფლობდეს საკუთარ ტერიტორიას, რომელიც მისი “სამშობლოა”; ნაციები აღიარებული და ინსტიტუციონალიზებული უნდა იყვნენ მათ საკუთარ სახელმწიფოებში.

როგორც წესი, იმპერიული ხელისუფლება, ერთი მხრივ, ქმნის პირობებს ადგილობრივი განათლებული ფენის შექმნისათვის, მეორე მხრივ კი აბრკოლებს მის გადაქცევას ეფექტურ ინტელექტუალურ ელიტად. რონალდ გ. სუნი „ქართული ნაციონალური ინტელიგენციის“ პირველ წარმომადგენლებად რომანტიკოსებს მიიჩნევს, რომელთა ეროვნული მისწრაფებები 1832 წლის ანტიცარისტული შეთქმულების მარცხმა დაასამარა. ამის შემდეგ ისინი ბედს შეურიგდნენ და იმპერიის სამსახურში ჩადგნენ. მათი შემდგომი შემოქმედება უიმედობასა და დაბნეულობას ასახავდა, ძირითადად, ბრწყინვალე წარსულის იდეალიზაციითა და დაკარგულ დიდებაზე დარდით შემოიფარგლებოდა. ქართული რომანტიზმის უკანასკნელი, უბრწყინვალესი წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი 1845 წელს, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იგი ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის დამამკვიდრებლად და ქართული ნაციონალიზმის წინამორბედად მიიჩნევა(ჩხაიძე,2009).

როგორც მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, ინტელექტუალებმა, მნიშვნელოვანწილად, „გამოიგონეს“ თანამედროვე ნაციონალიზმი მე-19 საუკუნეში. „ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი ფილოლოგების, ისტორიკოსების, პოეტების, მწერლებისა და ჟურნალისტების კულტურული ინტერვენციის პროდუქტია“[2].

1860-იან წლების დასაწყისში რუსეთის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდობამ ქართველ მკითხველ საზოგადოებას ევროპელი და რუსი მოაზროვნეების ახალი პოლიტიკური და კულტურული იდეები გააცნო. „თერგდალეულებად“ წოდებულმა 1860-იანი წლების ახალგაზრდებმა „ახალი ქართული თვითშეგნების ძიებაში თავდაყირა დააყენეს არისტოკრატული პატრიოტიზმის ძველი სამყარო, შემოიტანეს ნაციონალიზმის, თანასწორი უფლებების, რეალიზმის, მეცნიერული პროგრესის ახალი ცნებები.“

დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული წიგნის ბეჭდვას. 1851-1867 წლებში დაიბეჭდა იმაზე მეტი ქართული წიგნი, რაც წინა 50 წლის მანძილზე, მომდევნო წლებში ეს რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო ქართულ

[2] http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/leqcia_4._xix_saukune__1_

სახელმძღვანელოთა გამოცემა, აგრეთვე ქართული ლიტერატურის კლასიკური ძეგლებისა და უცხოური კლასიკის თარგმანების გამოქვეყნება.

საგამომცემლო საქმიანობა სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებოდა. პერიოდული გამოცემები ხან ხელმომწერთა სიმცირის გამო იხურებოდა, ხან _ ცენზურის მიერ, რომელიც, იმდროინდელ მოღვაწეთა სიტყვით, პეტერბურგის ცენზურასთან შედარებით ჯოჯოხეთური იყო. თუმცა, როგორც ს. ჯონსი აღნიშნავს, ცენზურაგავლილი მასალის არცთუ მცირე ნაწილი მაინც იბეჭდებოდა.

1875 წელს ამოქმედდა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, ერთი წლის შემდეგ – ქუთაისის ბანკი. მათი მოგების ნაწილი კულტურული და საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას ხმარდებოდა. ამ ბანკებმა სოლიდური თანხები გაიღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული დრამატული საზოგადოების, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა და სხვა მსგავსი საქმეებისათვის.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებულ დაწყებით სასწავლებლებში, გიმნაზიებსა და სემინარიებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა ქართული ენის და ზოგი სხვა საგნის ქართულად სწავლება არ იკრძალებოდა. 1867 წლის დებულებით, სკოლებში რუსული ენის სწავლება გაფართოვდა, შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლებაც, თუმცა არაქართველი მოსწავლეები ამისგან თავისუფლებოდნენ. 1873 წლის დებულებით, ქართული ენა საშუალო სასწავლებლების პროგიმნაზიურ კლასებში დატოვეს არასავალდებულო საგნის სახით. მაგრამ 1881 წლიდან ვითარება შეიცვალა. ამ წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა და ცირკულარი, რომელთა მიხედვით, ყველა ტიპის სკოლებში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, რომელსაც საფუძვლად დედაენა არ უნდა სდებოდა და ე.წ. "მუნჯური მეთოდის" გამოყენებას უნდა დაფუძნებოდა. ქართულ ენას, როგორც არასავალდებულო საგანს, პირველ და, ნაწილობრივ, მეორე კლასებში ეთმობოდა უმნიშვნელო რაოდენობის საათები. "მუნჯური მეთოდის" დანერგვას თან ახლდა სკოლებიდან ქართველი მასწავლებლების გამოდევნის პროცესი. ქართველი ინტელექტუალები იწყებენ თანმიმდევრულ და გააზრებულ მუშაობას მშობლიურ

ენაზე განათლების გავრცელებისათვის. 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მისი დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი იყო. საზოგადოება მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას ყველგან კავკასიაში, სადაც ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა; იგი აარსებდა სკოლებს, ხელს უწყობდა უკვე არსებულ სასწავლებლებს, ხსნიდა სამკითხველოებს, ზრუნავდა პედაგოგიური კადრების მომზადებაზე, ქართულ ხელნაწერთა, ფოლკლორული და ნუმიზმატიკური მასალების შეკრებაზე, ბეჭდავდა სახელმძღვანელოებს, ისტორიულ და ლიტერატურულ ტექსტებს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო სკოლების გახსნა ახლად შემოერთებულ აჭარაში. გამგეობის დავალებით, დიმიტრი ბაქრაძემ ბათუმში სახლი დაიქირავა და 1881 წელს სკოლა საზეიმოდ გაიხსნა. ყოველივე ეს თანმიმდევრული მუშაობისა და დიდი ძალისხმევის გზით იყო მიღწეული.

1876 წელს გამოიცა იაკობ გოგებაშვილის “დედაენა”, რომელიც ქართული იდენტობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენ წერტილად იქცა. 1912 წლამდე “დედაენა” 32-ჯერ გამოიცა და, როგორც უწოდებენ, ქართული ნაციონალური იდენტობის ანბანად იქცა. გოგებშვილისავე “ბუნების კართან” და “რუსკოე სლოვოსთან” ერთად, იგი ქართული საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლად მოგვევლინა.

თერგდალეულები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველებში განათლებისადმი ინტერესის გაღვივებას. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ქართველობა ნაკლებად ისწრაფვოდა სკოლებისკენ და წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით ჩამორჩებოდა სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს. იგი ცდილობდა, დაესაბუთებინა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და მაგალითის სახით იმ ხალხებს ასახელებდა, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ შვილებისათვის განათლების მისაცემად.

აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან თერგდალეულებს თავიანთი ხმა ქართველმა ქალებმაც შეუერთეს. პრესაში პირველად გამოჩნდა ქართველი პუბლიცისტი ქალების სახელი. ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ნ. ინაშვილმა თარგმნა და 1869 წ. ჟურნ.

"მნათობში" დაბეჭდა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის წერილი "ქალების განთავისუფლება". ქალთა ემანსიპაციის საკითხზე პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაებნენ ელ. ყიფიანი, ღვინიაშვილი. ქარელ ქალთა ჯგუფმა მალე საკითხავი წიგნიც გამოაქვეყნა.

კიდევ ერთი სფერო, რომლის მნიშვნელობა სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული ქართველ მოღვაწეებს, თეატრი გახლდათ. "ეგ ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს"; ჯერ კიდევ 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარულთა ძალებით, გიორგი ერისთავის "გაყრა" დაიდგა, მისივე რეჟისორობით და მონაწილეობით. 1880-იანი წლებიდან დღემდე ეს თარიღი ქართული თეატრის დღედ აღინიშნება. იდგმებოდა ქართული ორიგინალური, აგრეთვე თარგმნილი და ქართულად გადმოკეთებული პიესები. თავდაპირველად მთავრობამ თეატრს ყოველწლიური ფულადი დახმარება დაუნიშნა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ თეატრი ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი არ იყო და მისი შევიწროება დაიწყო. 1854 წელს გიორგი ერისთავი თეატრიდან წავიდა, ხოლო 1856 წელს თაეატრი დაიხურა. მის აღდგენას ორ ათეულ წელზე მეტი დაჭირდა.

1880 წელს ჩამოყალიბდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. საზოგადოება სათავეში ჩაუდგა ქართველ სცენისმოყვარულთა მიერ წინა წელს დაარსებულ "მუდმივ დასს", რომელიც აერთიანებდა ცნობილ მსახიობებს მ. საფაროვას, ვ. აბაშიძეს, ლ. მესხიშვილს და სხვებს. საზოგადოების დამსახურება იყო ქართული დრამატული მწერლობის გამდიდრება ახალი ორიგინალური პიესებით, ევროპული და რუსული დრამატურგიის გამორჩეული ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა და მათი დამკვიდრება თეატრის რეპერტუარში. ეს იყო გიორგი ერისთავის მიერ თავის დროზე დაარსებული და შემდგომში დახურული ქართული თეატრის ხელახალი გაცოცხლება, რაშიც დიდი როლი შეასრულა გიორგი ერისთავის ვაჟმა დავით ერისთავმა. მან გადმოაქართულა ფრანგი დრამატურგის სარდუს „სამშობლო", რომლის დადგმამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ მაყურებელში. ამას მოჰყვა კატკოვის ცნობილი წერილი "მოსკოვსკიე ვედომოსტში" და ქართველი

მოღვაწეების (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გაზეთი “დროება”) არანაკლებ ცნობილი პასუხები. 1890 წელს დაიდგა აკაკი წერეთლის “პატარა კახი”, რომელშიც პატრიოტული სულისკვეთება სრულიად დაუფარავად იყო გამოხატული, მაგალითად, პატარა კახის მოწოდებაში: *“ᲬᲮᲝᲑᲡ მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი”.*

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ინტელექტუალთა საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა განათლებისა და კულტურის სფეროებით. ისინი ცდილობდნენ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას და თავადაც იყვნენ ჩაბმული ამ საქმიანობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის საქმიანობა: მან ჩამოაყალიბა ტყიბულის ქვანახშირის მწარმოებელთა ამხანაგობა, ხელმძღვანელობდა ჭიათურის მანგანუმის მოპოვების საქმეს, გაიყვანა ჭიათურა-შორაპნის სარკინიგზო ტოტი და მოაგვარა გადაზიდვის პრობლემა. ნიკო ნიკოლაძე ერთადერთი არ იყო, ვინც ამ მიმართულებით საქმიანობდა.

თავი 3

ქართული ნაციონალური პროექტი და ქართველი ქალები

საქართველოში ქალთა სოციალური სტატუსი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, რთული პოლიტიკური ვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, აგრეთვე გეოგრაფიული ფაქტორების, კულტურული და ისტორიული თავისებურებების ფონზე ყალიბდებოდა. ქალის უფლებრივი მდგომარეობის მაჩვენებელია მისთვის მინიჭებული განქორწინების უფლება, რომელიც მთელ ქრისტიანულ სამყაროში აკრძალული იყო. თუ ქართული სამართლის ძეგლებს მივმართავთ, ვნახავთ, რომ კანონი განქორწინებას დასაშვებად თვლიდა ზოგ შემთხვევაში. თუმცა, ქალის სოციალური ფუნქცია მეუღლეობით, ახალი თაობის კვლავწარმოებით და საოჯახო შრომით განისაზღვრებოდა. ქალი, უპირველეს ყოვლისა, საოჯახო მოვალეობის შესრულებით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ქალის მიერ მამაკაცური სამუშაოების შესრულება საზოგადოების მხრიდან მოწონებით არ სარგებლობდა.

მაგრამ XIX საუკუნეში უკვე დაიწყო ქალის ფუნქციებისადმი კონსერვატიული დამოკიდებულების მძაფრი კრიტიკა. დიდმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი საზოგადოებრივ მოქალაქეობრივ უფლებას დაუკავშირა. იგი ქალის პროფესიულ შრომას საზოგადოების ნორმალური განვითარების და ქალის თავისუფლების აუცილებელ პირობად თვლიდა.

ილია, როგორც პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, აღიარებდა ქალის თანასწორ უფლებებს და მოვალეობებს, საზოგადოებრივი საქმიანობის და კულტურის ყოველ დარგში. ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში იგი ხედავდა იმ ჩანასახებს, რომლებსაც მოჰქონდა ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან. ი. ჭავჭავაძე წერდა: *„შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად“.* (ი. ჭავჭავაძე, 1928).

ქალთა მოძრაობამ, ილიას აზრით, ცხადი გახადა, რომ ქალებს შეუძლიათ საზოგადოერივ შრომაში ჩაებან, ფასეულობა შექმნან და ამიტომ ის ,,უსამართლობა, რომელიც დღეს აქომამდე დედათა სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამათ გარეთ არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე, რომ ლუკმა-პურის საშოვრის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას". (ჭავჭავაძე.1928 გვ. 279).

ილიას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალთა მასების დაინტერესება თავიანთივე გათავისუფლების საქმით. მას *„უკბილო საყვედურად და უქმ ჩივილად მიაჩნდა ქალების მამაკაცებზე წუწუნი - აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ"*[3]და ქალთა განთავისუფლების მთავარ პირობად თვით ქალების ინიციატივა და აქტიურობა მიაჩნდა. ეს ინიციატივა და თვითმოქმედება ქალებს უნდა დაეწყოთ თავიანთი სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ამ გზით მათ შეუძლიათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება, ანუ გათავისუფლდნენ. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეეგება „ქართველი ქალის წერილს", რომელიც 1889 წლის 4 მარტის „ივერიაში" დაიბეჭდა სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ", სადაც ,,ქართველი ქალი" [4] მოუწოდებდა ქალებს თვითონ აეღოთ თავზე ქალთა სასწავლებლის გახსნა და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ ქართველ ქალებს თავი დაეღწიათ იმ თითქოს „უწმინდესი და უსამღვთოესი დანიშნულებიდან" როგორიცაა მხოლოდ დედობა, ცოლობა, დობა. ყოველივე ეს ილიას მიაჩნდა ქალის საპატიო მოვალეობად, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა - დიდ რეგრესულ, უსამართლო და რეაქციულ საქმედ. სწავლა-განათლების გზით დაამტკიცებს ქალი, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია, მამაკაცის მსგავსად, შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს იყოს საუკეთესო დედა, ცოლი და და. ამ თემის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის

[3] ჭავჭავაძე(1987) პუბლიცისტური წერილები, IV ტომი,279გვ.
[4] ქართველი ქალი- ნანეიშვილი-ფაღავა ალექსანდრა=ქართველი ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ნაკვ, 3.-თბ 1944-გვ.822

მოწინააღმდეგე გ. თუმანოვთან კამათის დროს მიმართავს კარლ მარქსს: „მოვიყვანთ მარქსის ნათქვამს“, - წერს ილია და მოჰყავს მისი შემდეგი სიტყვები: *„როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა“*(ი. ჭავჭავაძე , 1928). ილია ეთანხმება ამ სიტყვებს, როგორც უდავო ჭეშმარტებას ქალის როლის ღირსეულად დაფასებისათვის და ენერგიულად იბრძვის ქალის ფართო მეცნიერული და ტექნიკური განათლების უზრუნველყოფისათვის და საზოგადოებრივი აქტიურობისათვის.

სწორედ მისი მოღვაწეობის პერიოდში აღინიშნა ქალის უფლებების ზრდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე, რასაც კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ჩამოყალიბდა მუშა ქალების ფენა. XX საუკუკნის დასაწყისში გაიხსნა კავკასიაში პირველი ქალთა უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. გარკვეული წარმატება იქნა მიღწეული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში.

ერთ-ერთ პირველ ქალთა ფორმალურ ორგანიზაციას, „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციას“, რომელმაც ფართო საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მუშაობა ჩაატარა, სწორედ ილიას მეუღლე - ოლღა გურამიშვილი ხელმძღვანელობდა.

ქალთა ორგანიზაციების მასობრივი შექმნის ტენდენციები საქართველოში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაჩნდა. იქამდე გამოკვეთილ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო სფეროს ქალთა უფლებათა დაცვა მიემატა.

ქალთა პირველი ფორმალიზებული, ხშირად დროებითი, გაერთიანებები სხვადასხვა წრის, კომისიის და კომიტეტის სახით ფუნქციონირებდნენ, მათგან აღსანიშნავია უკვე ზემოთ ხსენებული „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია“, „თბილისელ ქალთა წრის კომისია“, „ქართველ ქალთა საზოგადოება“ და სხვ. მათში ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქალები იყვნენ ჩაბმული, როგორებიც იყვნენ ოლღა გურამიშვილი, ნინო ტატიშვილი–ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი.

1902 წელს „თბილისელ ქალთა წრის“ მიერ დაარსდა სასწავლებელი ღარიბი გოგონებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდას. სკოლას მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდა დავით სარაჯიშვილის მეუღლე - ეკატერინე ფორაქიშვილი.

სკოლა მთავრობამ 1908 წელს დახურა, რაც მძლავრი ბიძგი აღმოჩნდა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნისათვის როგორიცაა მაგ. საზოგადოება „ცოდნა“.

ქალთა წრის მონაწილე იყო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელმაც შემდგომში თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისთან ერთად დაარსა საქველმოქმედო ორგანიზაცია ე.წ. „დამწვრობის კომიტეტი“, რომელმაც მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა 1905 წლის მასობრივი გამოსვლების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც ქალთა სამართლებრივი საკითხებით იყო დაინტერესებული, - „თბილისელ ქალთა საზოგადოება“ დაარსებული იქნა ცნობილი ჟურნალისტისა და მწერალი ქალის დომინიკა ერისთავის მიერ, რომელიც ცნობილი იყო „განდეგილის“ ფსევდონიმით. ორგანიზაცია ეყრდნობოდა რუსეთის ქალთა საზოგადოების პროგრამას და აქცენტს ქალთა თავისუფლების იდეაზე აკეთებდა. იგი იდეას ქალთა თავისუფლების შესახებ ფართო პროპაგანდას უწევდა და იმავდროულად ეწეოდა ქველმოქმედებას, აწყობდა მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს. მნიშვნელოვანი იყო საზოგადოება „განათლების“ მიერ წარმოებული მუშაობა ქართული სკოლის განვითარების საქმეში. სკოლას მწერალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი ხელმძღვანელობდა. ქალთა განათლებისა და უფლებების დამცველი საზოგადოებები გაჩნდა როგორც თბილისში, ისე პროვინციებშიც. მნიშვნელოვანი იყო მათზე სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა.

1905 წელს ანასტასია გედევანიშვილის მიერ დაარსდა „ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი“, რომელიც მიზნად ქალთა პოლიტიკურ გათავისუფლებას ისახავდა. რეგიონული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია „საქართველოს ქალთა ფოთის საზოგადოება“, რომლის მიზანიც მუშა-ქალთა გათვითცნობირება იყო.

ორგანიზაციის დამაარსებელი იყო მწერალი, სოციალ-დემოკრატი ქალი ლიდია მამულაშვილი-მეგრელიძე.

ზოგიერთ რეგიონულ ორგანიზაციას თავისი ფილიალები სოფლებშიც ჰქონდა. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებოდა მწერალი ქალის ანასტასია ხოშტარია-ერისთავის მიერ 1913 წელს გორში დაარსებული ქალთა გაერთიანება „მანდილი“.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები წარმატებით ახდენდნენ ხალხის მობილიზებას საერთო იდეის გარშემო. ამას მოწმობს ორგანიზაციების სიმრავლე და გავცელების არეალი.მობილიცაზია კი ხდებოდა პრესის მეშვეობით. ანდერსონიც ზუსტად ამას გვეუბნება, რომ „წარმოსახვითი საზოგადოება“ ნათლად ხსნის, როგორ ხდება საზოგადოების წარმოსახვა, და რა როლი აქვს ამ პროცესში პრესას და ენას.

საინტერესოა ვაჟა-ფშაველას წერილი, სადაც ის საუბრობს ქალებზე და მათ ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დროა შეიცვალოს მიდგომა, რომ ქალი მხოლოდ დიასახლისია. მათ განათლების მიღების საშუალებით აქვთ შანსი ღირსეული ადგილი დაიკაონ კაცების გვერდით პოლიტიკაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნაციონალიზმის ფორმირებაც ხომ ზუსტად მაგას გულისხმობს, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფი არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. ცხადია, კულტურული იდენტობის უზრუნველყოფა განათლების ნებისმიერი სისტემის ერთერთი აუცილებელი მიზანია, უფრო მეტიც - ფუნდამენტური მიზანი. თერგდალეულების პრაქტიკულმა მუშაობამ, უშუალო მონაწილეობამ განათლების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში საფუძველი ჩაუყარა ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობას. მიუხედავად განსხვავებული აქცენტებისა, ყველა თერგდალეული მოითხოვდა ეროვნულ თანხმობას და რეალურად მუშაობდა იმისთვის, რომ ქართველ ხალხში სამოქალაქო და ნაციონალური თვითშეგნება გაეღრმავებინა (ჯონსი 2007: 58-59).

ილიას, ვაჟას , აკაკის და სხვათა მოწოდებებმა, რომ ქალთა თანამონამონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოცოცხლებულიყო, შედეგი გამოიღო. 1866-1885 წლების გაზეთ „დროების“ ნომრებზე დაკვირვებამ აჩვენა,რომ XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებისთვის ქალთა ემანსიპაციის თემა აქტუალურია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქალთა უუფლებო მდგომარეობა და მისი

საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა დიდი პრობლემა იყო მთელი საუკუნის განმავლობაში და ფაქტობრივად, ტაბუდადებულ თემად ცხადდებოდა, გაზეთ „დროების“ ძალისხმევა ამ საკითხებით დაინტერესებისა და მისი გადაჭრის გზების ძიების კუთხით, დიდად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამას მოწმობს პუბლიკაციათა სიმრავლეც. თუმცა, გაზეთის არსებობის ხანგრძლივ პერიოდში 339 სტატია შეიძლება მცირედაც გვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თემაზე მანამდე საჯაროდ საუბარი საერთოდ არ ხდებოდა, „დროების“ მცდელობა ერთობ აქტიურ და წარმატებულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ქალები ასევე ჩნდებიან იმ პერიოდში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ცისკარი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მნათობი“, „ცნობის ფურცელი“ , სადაც აქვეყნებენ საკუთარ ნაწარმოებებს და ერთვებიან განათლებასთან, განმანათლებლურ იდეებთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

„დროება“ ოპერატიულად აქვეყნებდა საზღვარგარეთის მასალას, რომელიც ასოციაციურად მიუთითებდა, ქართველი ქალების წინაშე მდგომ პრობლემებზე. აღსანიშნავია, 1867 წელს დაბეჭდილი ჯონ სტიუარტ მილის წერილები. ეს საზოგადო მოღვაწე, ქალთა ემანსიპაციის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური პროპაგანდისტი იყო, თავის მეუღლესთან ერთად.ჯონ სტიუარტ მილის „ქალთა უუფლებობა“ ითარგმნა და იბეჭდებოდა „დროებასა“ და სხვა ქართულ გამოცემებში.

საინტერესოა ასევე აკაკი წერეთლის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. მისი წერილებიდან თუ სტატიებიდან კარგად შეიძლება მისი აზრის ამოკითხვა. ის პირდაპირ ამბობს, რომ განათლებაის უფლება ქალსა და მამაკაცს თანაბრად მოეთხოვება. აქ არ არის საუბარი მხოლოდ სწავლის უფლბაზე. შორს რომ წავიდეთ, განათლებულ ქალს ბევრის სიკეთის გაკეთება შეუძლია სამშობლოსთვის და მისი განვითარებისთვის. აკაკისთვის ადამიანის იდეალი არ იყო ზოგადი და განყენებული სქემა, მებრძოლი მოქალაქე იყო მისი რჩეული, მისი კონკრეტული შინაარსი. საქართველოს იმდროეინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალთა განათელბას უფრო საპასუხისმგებლო საქმედ თვლიდა და განსაკუთრებულ ყურადღებასაც აქცევდა. მისთვის ქალი და მამაკაცია თანაბრად უნდა აღზრდილიყო. აკაკი მთელ იმედებს მშრომელი ფენებიდან გამოსულ ქალთა ახალგაზრდობაზე

ამყარებდა. 1912 წლის 23 თებერვალს აკაკი ქართველ ქალთა ერთ-ერთი პროფესიული სკოლის მიერ გამართულ დილას დასწრებია და თავის შთაბეჭდილებას შემდეგი სახით უზიარებდა საზოგადოებას: *„მაშინ, როდესაც მაღალი წოდების ქალები, მდიდრულად გამოზრდილები, გარეწრები არიან სამშობლოსი, აქ ყველა სწორ გზაზე დგას. მერე ვინ? სულ ღარიბ-ღატაკები, უბრალო მუშებიისა და დედ-მამის შვილები... ნუთუ ამათ თავისი მაგალითით უნდა აღბეჭდონ კვალი მომავლისა? დიახ, სწორედ და მაგალითიც ამას გვიჩვენებს“* (ობოლაძე, 1953).

თავი 4

პირველი ქართველი ქალები პოლიტიკაში

„მთელი ისტორია არის ისტორია მამაკაცებისა, მათი ომებისა და რევოლუციისა, მათი შუღლისა და ამბოხებისა, სადაც მდედრობითი სქესი პოლიტიკურ და მოქალაქურ ცხოვრებაში უკანასკნელ ხანამდე არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა", – (მელაშვილი,2013) ამბობდა თითქმის ერთი საუკუნის წინ კატო მიქელაძე, ქალთა უფლებების დამცველი და ემანსიპაციის გულმხურვალე მხარდამჭერი და მქადაგებელი, ფემინისტი, პუბლიცისტი, აქტივისტი და უბრალოდ ქალი, რომელმაც სწორედ ამ დამსახურებათა გამო პატრიარქალური ისტორიოგრაფიის გალერეაში სათანადო ადგილი ვერ დაიკავა, თუმცა დრო არ კარგავს.

ქალები, რომლებიც იბრძვიან სამართლიანობისთვის, მომავლისთვის, იბრძვიან საზოგადოების სრულფასოვან წევრად ქცევისთვის, ხმის აქტიური და პასიური უფლებისთვის, განათლებისთვის, თანასწორობისთვის- იბრძვიან უმეტესად მარტო. ეს მათი ბრძოლაა, ქალი-გმირების, ქალი-აქტივისტების, ქალი-პუბლიცისტების, ქალი-დედების, სამაგალითო და ჭკვიანი ქალების, რომლებიც სწორედ მათი სქესის გამო გარიყეს. საზოგადოებამ და ოჯახმა კარი დაუხშო მათ განვითარებას და აქტიურ სოციალიზაციას. დაუჯერებელია, მაგრამ თითქმის ერთი საუკუნის წინათ არსებობდნენ ქალები, რომლებიც იმდროინდელი მძიმე ისტორიული კონტექსტის პირობებშიც კი მთელი სიმწვავით სვამდნენ ქალთა თანასწორობის პრობლემას და გაერთიანებისკენ, სოლიდარობისა და გამოფხიზლებისკენ მოუწოდებდნენ სხვა ქალებს, რომლებიც ელოდნენ, როდის მოაგვარებდა ვინმე მათ მაგივრად მათსავე პრობლემას.

„ასეთი ქალები, ვამბობ მე, წააგვანან იმ გულუბრყვილო ბავშვებს, რომლებსაც რამე შეწუხების დროს უფროსები ეუბნებიან: შენ ოღონდ არ იტირო და მე ბზრიალას მოგიტანო, – და ისინიც უჯერებენ და ელოდებიან დაპირებულ საჩუქარს", – მკვახე შეფასებებს არ იშურებდა მათთვის კატო (მელაშვილი,2013, 35გვ).

მწვავე და პირდაპირი იყო მისი საჯარო გამოსვლები. იგი არ ერიდებოდა იმ ქალების კრიტიკას, რომლებსაც არ სურდათ ბრძოლა თავიანთი უფლებებისთვის, არ მოითხოვდნენ, პარტიებს ქალებიც შეეყვანათ კანდიდატთა სიებში: *„თქვენ გეუბნებიან, თვითმმართველობა უნდა გადავიდეს ხალხის ხელშიო; სთქვით, რომ ხალხს არ წარმოადგენს მხოლოდ მამაკაცები!"*[5] – მიმართავდა მათ და შეახსენებდა, რომ ამქვეყნად კუჭზე ზრუნვა არ კმარა; საჭიროა სხვა ცხოვრება, სადაც ქალის საქმედ მხოლოდ მზარეულობას არ განიხილავენ; რომ ქალი არ არის მხოლოდ ტკბობის საგანი, ვნებათა ღელვის დამამშვიდებელი ობიექტი, სადღეგრძელოების მუზა, ჩიტი, ჩამწყვდეული ჰარამხანაში; ის არ არის მხოლოდ ისტორიული ტიკინა – იგი გაგრძელებაა იმ დიდებულ ქალთა მოდგმისა, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც გარეგნული სიტურფით, ასევე შინაგანი სიმდიდრითაც. კატო მაგალითებს არ იშურებდა, რომ გაეღვიძებინა ქალებში თავიანთი პიროვნულობის განცდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის სურვილი. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო" – ამ აფორიზმსაც შეახსენებდა და თვითგამორკვევისკენ მოუწოდებდა. (მელაშვილი,2013).

კატო მიქელაძის საფლავი დღეს დაკარგულია, სახელი – მივიწყებული, საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ქალების როლის ზრდას დასავლეთიდან იმპორტირებულ ბურჟუაზიულ სენად ნათლავდა, არ გასჭირვებია კატო მიქელაძის აქტივიზმის უგულებელყოფა – მას პოეტი ქალის სახელი აკმარა.

კატომ თვდაპირველი განათლება ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. უსახსრობის გამო, მან ოთხი კლასის დასრულების შემდეგ სწავლა მიატოვა. მაგრამ შემდგომში განათლება რუსეთში, შვეიცარიასა და ბელგიაში მიიღო. ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას პარიზში ეზიარა და 1916 წელს საქართველოში დაბრუნებისთანავე აქტიურად ჩაერთო ქვეყნის სოცალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა რეგიონალური ქსელი "ქალთა ლიგა" (1917-18 წლები), რომელიც სუფრაჟისტულ იდეებს იზიარებდა, ქალებისთვის თანასწორ უფლებებს და არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას ითხოვდა. კატო მიქელაძე რედაქტორობდა გაზეთს "ხმა ქართველი ქალისა", რომელიც მთელს

[5] მელაშვილი(2013,65გვ).

ამიერკავკასიაში ერთადერთი ქალთა გაზეთი იყო. ქუთაისის საზოგადოებაში ქალთა გაზეთის გამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. კაცები ამბობდნენ, რომ ქალთა პოლიტიკაში ჩართვა შეუთანხმებელი იყო დედის მოვალეობასთან და თანასწორუფლებიანობა ქალურ სინაზეს ჩაკლავდა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა პარტიებში გაერთიანებულ ქალებს უკრძალავდნენ ქალთა ლიგაში გაერთიანებას. ბევრი უცხოეთში განათლებამიღებული ქალი პარტიულობის გამო არიდებდა თავს ლიგაში გაერთიანებას. გაზეთს დამტარებელი ბიჭებიც ჩამოაცილეს და აღარც ჯიხურებში იღებდნენ. 1917 წელს „ხმა ქართველი ქალისა“ გამოვიდა ინიციატივით, ქალებს მოეთხოვათ დაქორწინება ნოტარიალური წესით, ჯვრისწერის უფლება წყვილს თავად გადაეწყვიტა და გაადვილებულიყო გაყრის წესი (მიქაუტაძე, 179გვ).

მიქელაძე თავის წერილებში განიხილავდა ქალების მდგომარეობას საქართველოში, მათ ჩართულობას სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქტიურად წერდა ქუთაისში მიმდინარე მოვლენებზე.

1917 წლის მაისის ნომერში მიქელაძე ქალებს მიმართავდა: *“არ შეიძლება, რომ კაცობრიობის დედა და კერძოთ, ქართველი ერისა, მონა იყოს! არ შეიძლება, იმ ქვეყანას თავისუფალი ქვეყანა დაერქვას სახელად, სადაც დედრობითი სქესი ნივთია და არა პიროვნება, სადაც მას უცქერიან ისე, როგორც საშვალებას და არა ისე, როგორც თვითმიზანს. ძირს ქალთა უფლების მტერნი”* (მელაშვილი 2013, 52გვ).

არ ვიცი, იყვნენ თუ არა მზად კატო მიქელაძის თანამედროვე ქალები, ეგრძნოთ თავიანთი გამორჩეულობა, მოქალაქეობრივი ვალის სიმძიმე და პასუხისმგებლობა. კატო ამბობდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ამის მოთხოვნილება გაჩნდებოდა, ქალები კი მოუმზადებლები შეხვდებოდნენ მას. წინასწარმეტყველება ახდა – ქალებს დღესაც სჭირდებათ იმის მტკიცება, რომ ისინიც სრულფასოვანი მოქალაქეები არიან, რომ მათაც შეუძლიათ საქმის კეთება, რომ მათაც სჭირდებათ საზოგადოების ნდობა და იმედს არ გაუცრუებენ. ეს პრობლემები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ იყო.

კატომ იცოდა, რომ ქალის ფიზიკური თუ სულიერი გადარჩენა მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად უმნიშვნელოვანესზე – განათლებაზეც იყო დამოკიდებული.

იმდროინდელი განათლების სისტემა კი ვერ იქნებოდა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის იდეის მომხრე, სისტემას არ სჭირდებოდა მოაზროვნე ქალები. განათლების სისტემა თავად იყო ამ მახინჯი სტერეოტიპების გამგრძელებელი და სწორედ მასწავლებლები გადასცემდნენ მომავალ თაობებს გენდერულ სტერეოტიპებს. კატოს გამოსავლად განათლების სისტემის რეფორმა და მასწავლებელთა გადამზადება მიაჩნდა. *„მომავალი ქართველი ქალის ადამიანური პიროვნების ამაღლებას რომ დღევანდელი ჩვენი პედაგოგთა უმრავლესობა ხელს შეუწყობდეს, ამას ჩვენ ვეჭვობთ, სანამ მათი პსიხოლოგია არ შეიცვლება. როგორც მშობლების, ისე მასწავლებელთაგან აღზრდის მხრივ ყურადღება უნდა ექცეოდეს ოჯახში და სკოლაში მოსწავლეთა შორის ქალ-ვაჟთა სწორუფლიანობის შეგნებას. ამ მოვალეობის შესრულებას მომავალი თაობის წინაშე დღეს ყველაზე მეტად დედები და მასწავლებელი ქალები უნდა შეუდგნენ"*[6], – ამბობდა ის და დასძენდა, რომ ამ მხრივ სანუგეშოს ჯერჯერობით ვერაფერს ხედავდა. საზოგადოებრივი როლი არათუ არ დააზიანებდა ქალის ოჯახურ მდგომარეობას, არამედ გონიერ და მებრძოლ დედას შვილიც ასეთივე ეყოლებოდა. მოქალაქე დედა უწინარესად სწორედ შვილებს სჭირდებოდათ, რადგან მხოლოდ ასეთ ქალს შეეძლო სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდა – ასეთი იყო გზავნილები, რომლებსაც კატო თავის თანამედროვე ქალებს უგზავნიდა.

კატოს მოწოდებეათა სამიზნე მხოლოდ ქალი არ ყოფილა – იგი მამაკაცებსაც მიმართავდა, სთხოვდა მათ, მეტი გულისხმიერება გამოეჩინათ ქალების მიმართ, მიეცათ მათთვის ასპარეზი შრომისა და თავის გამოჩენისა და ისინი ნამდვილად არ შეირცხვენდნენ თავს. *„უფლებიანი დედაკაცები მარსზე და იუპიტერზე ცხოვრებას არ აპირებენ, რომ იქ წაიღონ და გაფლანგონ დედამიწაზე აღებული ხელფასი და მით შეავიწროვონ ცხოვრება მამაკაცებისა"*,[7] – წერდა კატო.

დღეს, როცა ეს საკითხები კვლავაც მტკივნეულია, კატო მიქელაძის ინტელექტუალური მემკვიდრეობის გაცნობა აუცილებელია საზოგადოებისთვის, ვფიქრობ, მასწავლებელთა ვალია გააცნონ მომავალ თაობას ისტორიის ლაბირინთებში დაკარგული, სტერეოტიპებთან მებრძოლი გმირი ქალები. მატ უნდა

[6] მელაშვილი(2013, 80გვ)
[7] მელაშვილი (2013, 81გვ)

მოსოალონ სტერეოტიპები, რომლებიც რატომღაც მემკვიდრეობით გადადის უკურნებელი სენივით.

კატო მიქელაძე არ იყოფილა ერთადერთი ქალი ვინც აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არანაკლები წვლილი მიუძღვის მინადორა ტოროშელიძეს. ის დაიბადა 1879 წლის 14 მარტს აზნაურის ოჯახში სოფელ ღორეშაში. დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია. ამის შემდეგ ჩაერთო მარქსისტული მოძრაობის წრეებში. 1901 წელს კი სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე. აქტიურად მუშაობდა ქალაქის სოციალისტურ წრეებსა და „ისკრის“ დამხმარე ჯგუფში. სწორედ ჟენევაში იქორწინა მან მალაქია ტოროშელიძესთან.

1905 წელს, თბილისში დაბრუნების შემდეგ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაერთო. ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების შემდეგ კი აქტიური „მენშევიკი” გახდა. 1906 წლის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის შემდეგ ქალაქ ბაქოში გაემგზავრა და იმავე წელს ჟენევაში დაბრუნდა სწავლის დასასრულებლად.

1918 წლიდან საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში ჩაერთო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე მინადორა ტოროშელიძის ხელმოწერაც არის. 1918 წელს იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გახდა, ხოლო 1919 წელს სოციალ-დემოკრატების სიით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. მონაწილეობდა შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის მუშაობაში. შეიძლება ითქვას, რომ მინადორა ერთდოულად ორ ფრონტზე იბრძოდა. დამფუძნებელი კრების დროს შეზღუდვა არ არსებობდა. 1919 წლის 4 აპრილს დამტკიცდა კანონი „დამფუძნებელი კრების წევრობასა და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამრჯელოს შესახებ“, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ თვითმმართველობათა გამგეობის წევრს არ ეკრძალებოდა ამავე დროს ყოფილიყო დამფუძნებელი კრების წევრი. ამ უფლებით სარგებლობდა საკმაოდ ბევრი მაშინდელი პოლიტიკოსი, მათ შორის მინადორა ტოროშელიძე.

1921 წლის თებერვალში რუსეთის საბჭოთა არმიის თავდასხმის დროს საქართველოს წითელ ჯვარში მუშაობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი ანტისაბჭოთა მოძრაობაში ჩაერთო. ამერიკული დახმარების ადმინისტრაციაში (American Relief Administration) მუშაობის პარალელურად, დაპატიმრებულ სოციალ-დემოკრატების და ფედერალისტების ოჯახების დასახმარებლად, ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. 1924 წლის დასაწყისში იძულებით მოსკოვში გაასახლეს. 1925 წელს, მას შემდეგ,რაც მენშევიკურ პარტიაში მუშაობაზე უარი თქვა, თვითნებურად დაბრუნდა თბილისში, მაგრამ კვლავ მოსკოვში გაგზავნეს, ხოლო მოგვიანებით თბილისში დაბრუნების უფლებაც მისცეს.

1847 წლის 14 მაისს, ქუთაისში დაარსდა პირველი ქალთა სასწავლებელი. მართალია მის მთავარ მიზანად განსაზღვრული იყო "კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების აღზრდა" (გაბუნია, 2011), მაგრამ ამ სასწავლებელმა უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მაგალითისთვის, იმ ხუთ ქალს შორის, იყო მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ასევე, ქალთა გიმნაზიის სახელს უკავშირდება ქუთაისის ტრადიციული დღესასწაულის "გვირილობის" დაარსება, რომელიც 2 მაისს იმართებოდა 1909 წლიდან 1919 წლამდე და დღესაც აღინიშნება. გიმნაზიის მოსწავლეები ქველმოქმედების მიზნით გვირილებს ყიდდნენ და ეხმარებოდნენ ტუბერკულიოზით დაავადებულებს.

ბარბარე ჯორჯაძე იყო ერთადერთი ქალი, რომელმაც გაბედა და 1861 წელს, ქართული ენის მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ პოლემიკაში ილია ჭავჭავაძეს შეეკამათა: „უნივერსიტეტის დაცინებას მწამებთ" („ცისკარი", 1861, სექტემბერი, გვ. 55-68). „ცისკარი", „დროება", „ივერია", „კვალი", „ჯეჯილი" _ სწორედ აქ, პოულობდა მწერალი ქალი თავშესაფარს და სად ეწაფებოდა იგი შემეცნების სამყაროს. „...კნ. ბარბარე ჯორჯაძისა იყო შინაურ ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა გააკვირვებდა ბევრს ევროპიელს სწავლით აღჭურვილს პირს..." („კვალი", 1895, #17). 1874 წელს ექვთიმე ხელაძის სტამბამ გამოსცა "ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადი ცნობანი", სადაც ბარბარე მკითხველს ქართულ-ევროპული კერძების რეცეპტებსა და მომზადების წესებს აცნობდა. 90-იან წლებში „ქალთა

საკითხის“ გარშემო გამართულ პოლემიკას ბარბარემ სპეციალური წერილი: „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“ მიუძღვნა (იხ. დანართი1).

1867 წელს ქუთაისის თეატრში გათამაშდა ბარბარე ჯორჯაძის პიესა: „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“, რომელიც მრავალი წელი იდგმებოდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე.1895 წლის 11 აპრილს, როცა მწერალი ქალი ლენქორანიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ცივგომბორთან შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა.

„ჩვენი მწერლების უიმისოდაც მცირე გუნდს გამოაკლდა კიდევ ერთი მწერალი ქალი _ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა... ოცდაათ წელზე მეტია, რაც ის მოღვაწეობს. ბარაბარე თითქმის პირველი ქალი იყო, რომელმაც აიღო კალამი ხელში და გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მან დაიწყო ჟურნალ „ცისკარში“ ლექსებისა და მოთხრობების წერა და თითქმის სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან...“ („კვალი“, 1895, #17).

1913 წლის ჟურნალ "კლდის" 21-ე ნომერში წარმოდგენილია კავკასიელ ქალთა გაერთიანებასა და ქართველი საზოგადოების მასთან დამოკიდებულება. ჟურნალში კარგად ჩანს რას ემსახურებოდა იმ პერიოდის ქალთა ორგანიზაცია და როგორ მიიღო ქალთა ინიციატივა იმჟამინდელმა საზოგადოებამ. სტატიის ავტორია XIX-XX საუკუნეების გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი - ეკატერინე გაბაშვილი. მისი შეფასებით, "საინტერესო და საჭირო" "კავკასიელ ქალთა საზოგადოება" 1908-09 წლებში თბილისში დაარსდა. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველები ცუდად იცნობდნენ და გულცივადაც მიიღეს ეს "სიმპატიური საქმე". ავტორი საყვედურადაც კი ამბობს, რომ თურმე იმ პერიოდის პრესასაც არაფერი უთქვამს კავკასიელ ქალთა შეკავშირების ამ პირველ ნაბიჯზე.

"ქართველნი ქალნი რომ საზოგადოთ იმდენად ინდეფერეტნი ვართ, ხომ თითქმის ვერცკი გავიგეთ, რომ ეს საქმე ჩვენ, ქართველ ქალებს, როგორც ერთ უდიდეს კავკასიელ ეროვნებათა წარმომადგენლებს პირდაპირ გვავალებდა თვალის გახელას და ამ საზოგადოებაში ჩვენის ეროვნებათა წარმომადგენელთათვის საპატიო ალაგის დაჭე-

რას გვკარნახობდა"[8], - წერს ეკატერინე გაბაშვილი და ცნობილი გამონათქვამის მოშველიებით სხვა კავკასიელთა მისამართითაც არ იშურებს საყვედურს: "თუ მოტირალი არ ტირის, მობანეს რა თავი სტკივაო"[9], და სხვა კავკასიელ ეროვნების ქალებმაც, რასაკვირველია, დიდად თავი არ შეიტკივეს და არ დაგვაინტერესეს ამ კავკასიელთა საერთო საქმეში.

ეკატერინე გაბაშვილის პოზიცია რომ ყოფილიყო საზოგადოებრივ ასპარეზზე, აქტიურად ემოქმედა აშკარად კონფლიქტშია იმდროინდელი ყოფის რეალიებთან. ავტობიორგრაფიულ პიესაში "ფრთებდაგლეჯილი" აღწერილია მწერალი ქალის ცხოვრების ერთ დღე: შეურაცხყოფა, დამცირება, სასოწარკვეთა. გაზეთის რედაქტორი _ აი, ქეთოს ერთადერთი გულშემატკივარი! სწორედ მას მიმართავს სანუგეშოდ: "...მე კი მგონია, ადამიანები ბოროტნი და შურიანნი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა"...[10]

მწერალი აღნიშნავს, რომ ქართველ ქალებში მანამდეც იყო ქართველ ქალთა საზოგადოების შექმნის სურვილი ქვეყნისთვის საჭირო საქმეების გასაკეთებლად. ამაზე ხშირად მსჯელობდნენ კიდეც, კრებებსა და თათბირებსაც აწყობდნენ. თავდაპირველად ქალთა კლუბის შექმნას არც არაფერი უსლიდა ხელს , მაგრამ თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე მაინც ჩაშლილა. 1913 წელსაც უცდიათ ქალთა ორგანიზაციის შექმნა. რამდენიმე ათეული ქალი შეკრებილა, უმსჯელია და კომისიაც კი შეუქმნიათ, მაგრამ საბოლოოდ, კავკასიელ ქალთა საზოგადოებასთან შეერთება გადაუწყვეტიათ: "...კომისიამ გადასწყვიტა შეერთებოდა კავკასიელ ქალთა საზოგადოებას და დეეკავებინა მით შუა ის ადგილი, რომელიც დიდი ხნიდგანვე უნდა სჭეროდა, თუ უნდოდა, რომ კავკასიელ ქალთა შუა ქართველ ქალსაც სჭეროდა თავისი ადგილი და ამ დაგვიანებულის, მაგრამ აუცილებელის შეთანხმებისთვის გამართა ლაპარაკი კავკ. ქალთა საზოგადოების მართველობასთან"[11].

[8] http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/ekaterine-tarxnishvili-gabashvili
[9] http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/ekaterine-tarxnishvili-gabashvili
[10] http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/ekaterine-tarxnishvili-gabashvili
[11] http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/13/ekaterine-tarxnishvili-gabashvili

როგორც ჩანს, კავკასიელ ქალთა საზოგადოების მმართველობა სიხარულითა და გულთბილად შეხვდა ქართველ ქალთა სურვილს და იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია ეს ამბავი, საზოგადო კრებაც კი მოიწვია. კრებამ კომისიაც აირჩია და ქართველ ქალთა კომისიასთან ერთად, შეერთების საგანგებო პროგრამაც შეადგინა. ამ პროგრამით ქართველი ქალები "კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში" თანასწორუფლებიან წევრებად განიხილებოდნენ და შეადგენდნენ დამოუკიდებელ ქართულ სექციას, რომელიც საზოგადოების წესდებით იხელმძღვანელებდა. ეს პროგრამა შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს:

"**1.** ქართველ სექციაში შესვლა შეუძლიან სექციის თანხმობით კავკასიელ ქალთა საზოგადოების ყველა წევრს, ვისაც აინტერესებს და შეუძლიან (იცის ქართული ენა) სექციაში მუშაობა;

2. სექციის დაარსებისთვის საჭიროა არანაკლებ ოცის წევრისა. სექციის კრება კანონიერია, თუ კრებას ნამდვილ წევრთა 1/3 დეესწრება;

3. ქართ. სექციას აქვს უფლება თავიანთ შორის აირჩიოს ერთი წლის ვადით სექციის გამგეობა შვიდი კაცისაგან და ორი კანდიდატი. გამგეობა თავის შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და ხაზინადარს;

4. სექციის გამგეობის კრებები ინიშნება საჭიროებისდა გვარად თავმჯდომარისგან ან ხუთის წევრის განცხადების თანახმად;

5. სექციის გამგეობის წევრების ვინაობა უნდა ეუწყოს კავკასიელ ქალთა საზოგადოების გამგეობას;

6. გამგეობა სექციისა გზავნის "კავკ. ქალ. საზ." გამგეობის კრებებზედ ორ წარმომადგენელს...

7. ქართულ სექციის ყველა პრინციპიალური დადგენილებას ამტკიცებს ცენტრალური გამგეობა;

8. სექციის სახსარს შეადგენს კავკ. ქალთა საზოგადოებისგან დანიშნული განსაკუთრებული თანხა, რომელიც შეტანილი იქნება წლიურ საერთო სმეტაში და ხელშეუხებელი სექციის თანხა, რომელიც იქნება კერძო პირთაგან მარტო სექციის საჭიროებისათვის;

9. სექციის გამგეობა ხარჯავს თავის თანხას იმ სმეტის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების საერთო კრება;

10. სექციის საჭიროებისდა გვარად ეძლევა ყოველ თვიური ავანსი"...
როგორც ჩანს, ქართველ ქალთა კომისია იმედოვნებდა ქართული სექციის გაძლიერებას, რითაც ქართველი ქალებისთვის "კულტურული საქმეების მოწყობასაც" შეძლებდნენ.[12]

ეკატერინე გაბაშვილს წარმატებული მუშაობის მაგალითიც მოაქვს: "...ქართველებს უკვე გვაქვს სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად და დიდის წარმატებით ასრულებს თავის სრულ ეროვნულ საქმეს და შეთანხმება სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან, თუ არ ამშვენებს და არ აძლიერებს, ხომ არ აფერხებს და ხელს არ უკრავს"(ხარშილაძე,ი. ჟურნალი გზა).

მწერალი ქართულ სექციაში გაწევრების მსურველთათვის იქვე ასახელებს სარეგისტრაციო ადგილს: "წევრებად ჩაწერვა შეიძლება ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის სადგურში, ნაკადულის რედაქციაში და კავკასიელ ქალთა საზოგადოების კანცელარიაში" (ხარშილაძე,ი. ჟურნალი გზა).

ენის ფაქტორი ნაციონალიზმის ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესია. საქართველოში ინტელექტუალებმა, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ჩამოაყალიბა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.1880 წლიდან მოყოლებული, საზოგადოების წევრები გახდნენ ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, მარიამ დემურია, დესპინე გელოვანი, მარჯორი უოდროპი, ელისაბედ საგინაშვილი, ნინო და მარიამ ორბელიანები, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე, ეკატერინე გურამიშვილი-სტაროსელსკი, ქეთევან ჟურული, ანა სოლოღაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ბაბილინა ხოსიტაშვილი და სხვები. დიდი ინტერესით ჩაერთნენ რეგიონული განყოფილებების და სამკითხველოების გახსნის, სახელმძღვანელოების შექმნის და მასწავლებელთა მომზადების საქმეში და ძალისხმევას არ იშურებდნენ საიმისოდ, რომ განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა წოდების წარმომადგენელი ვაჟებისა და გოგონებისთვის.

[12] https://www.ambebi.ge/article/100834-kartvel-kalta-gaertianebebis-cinapari-gasuli-saukunis-dasacqisidan/

მიუხედავად სიტყვიერი მხარდაჭერისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები აღუთქვამდნენ ქალებს, ეს დახმარება ძალიან იგვიანებდა. ამან მისცა ბიძგი ქალების ძალთა კონსოლიდაციას. ეკატერინე გაბაშვილმა 1897 წელს დააფუძნა „ქალთა სახელოსნო სკოლა“, მოგვიანებით კი – დომინიკა ერისთავის „თბილისის ქალთა საზოგადოება“, ანასტასია ერისთავის საზოგადოება „მანდილოსანი“, ქალთა წრეები ქუთაისში, ხონში, ფოთში, თელავში და, ქალთა კომიტეტები სათავადაზნაურო სკოლებთან. 1900 წლიდან საზოგადოება იწყებს რეგიონული განყოფილებების გახსნას. ხუთ მათგანს ქალი ხელმძღვანელობს. ესენია: გუდაუთა – მარიამ საბაშვილი; ერევანი – თამარ ციციშვილი-ვაჩნაძე; სენაკი – ოლღა ხოფერია; სოხუმი – მარიამ დადიანი-ანჩაბაძე; ყვირილა – ბარბარე მაჭავარიანი-წერეთელი. („დროება“, 1880 წელი, N119).

ზემოთ აღნიშნული ქართველი ქალები თავიანთი საქმიანობით და მოღვაწეობით, ავსებდნენ და თავიანთ წილ აგურს დებდნენ ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში, მის მთავარ ფუძემდებლებთან ერთად. ენის რეფორმა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება- სწორედ ქალების ჩართულობით არსებობდა და უმნიშვნელობანეს საქმეს აკეთებდა. ნაციონალიზმის მოდერინისტული თეორიის მიხედვით, ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების ერთ–ერთ უმთავრეს ფაქტორად ენა მიიჩნევა. კერძოდ, როდესაც ადგილობრივი სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ, გაზეთებისა და წიგნების ენად იქცევა, ერის ჩამოყალიბების ეტაპი, როდესაც იგი თავს კულტურულ ერთობად აცნობიერების, ფაქტობრივად, დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

4.1 „დამფუძნებელი დედები“[13]

ქალთა საკითხებზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ იმ ხუთ ადამიანს, ქალს, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1918 წლის კონსტიტუციას. შედარებისთვის მინდა მოვიყვანო ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. აშშ–სთან შედარებას ვაკეთებ, რადგან დღეს მსოფლიოში ამერიკა ყველაზე დემოკრატიულ, ტოლერანტულ ქვეყანად ითველბა, სადაც უმთავრესი ადამინთა უფლებების დაცვაა, მიუხედავად რწმენისა, სქესისა, რასისა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ–ს კონსტიტუცია შექმნის დღიდან მისი ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის უპირობო დამცველია, დიდი ხნის განმავლობაში ქალებისა და შავკანიანების უფლებები შეზღუდული და დარღვეული იყო. 1920 წელს, შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეცხრამეტე შესწორებით ქალებს მიენიჭათ ხმის მიცემის უფლება. ამ მიზნის მისაღწევად კი ამერიკელმა ქალებმა ძალიან დიდი, ეკლიანი, წინააღმდეგობებით სავსე, ურთულესი გზა გაიარეს. 2 წლით ადრე კი, საქართველოში ქალები კონსტიტუციას ხელს აწერენ.

ქართველი პარლამენტარი ქალების ისტორია 1918 წელს იწყება. სწორედ მაშინ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველ პარლამენტსა და დამოუკიდებლობასთან ერთად პირველი პარლამენტარი ქალებიც გამოჩნდნენ. 1918 წელი სამხრეთ კავკასიისთვის გარდამტეხი წელი იყო. სწორედ მაშინ საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში ორდღიანი ინტერვალით გამოაცხადეს თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერეს კონსტიტუციას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი (იხ. დანართი 2) — საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

[13] „დამფუძნებელი დედები და მამები“-ირაკლი ხვადაგიანი,საქართველოს დამფუძნებელი კრების მემორიალური ალბომი

დამოუკიდებლობა. მიღებულ იქნა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევს, 5 საათსა და 10 წუთზე მეფისნაცვლის სასახლეში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი არის პირველი ქართული კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტი, კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებელი. მას აქვს დეკლარაციული ხასიათი. მასში მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები და ქართველი ერის დაუოკებელი სურვილი თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედ-იღბალი, აღწერილია იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. დამოუკიდებლობის აქტს, გარდა დეკლარაციული ხასიათისა, აგრეთვე აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათი. მას აქვს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნება — 1918 წლის 26 მაისიდან მოყოლებული, 1921 წელსკონსტიტუციის მიღებამდე იგი იქცა იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობის პირველწყაროდ. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, იურისდიქციის ფარგლებსა და მოცულობას, პოლიტიკური წყობილების ფორმას, საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, დროებით სახელმწიფო ხელისუფლებასა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ ქვეყნის მდგომარეობა.

საქართველოს კონსტიტუციას მაშინ მამაკაცებთან ერთად ხუთმა ქალმაც მოაწერა ხელი. აქ სწორედ იმ მამაცი, წარმატებული, მეამბოხე ქალების ისტორიას მოგითხრობთ, რომლებმაც საქართველოს ისტორია შეცვალეს.ამ ხუთი ქალის ისტორიაში, მხოლოდ საქართველოს კი არა, მთელი კავკასიის ისტორია აირეკლა.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე

“. . . კამათის დროს არავის ვუთმობდი, მაგრამ როცა კრებიდან გამოვდიოდით, ქუჩაში ბევრ რამეს ვივიწყებდი და ვცდილობდი, მტრული განწყობილება არ დამრჩენოდა მოწინააღმდეგეებთან. უნდა ვაღიარო, რომ ამას არასოდეს ვნება არ მოუტანია ცხოვრებაში არც პირადად ჩემთვის და არც საქმისთვის . . .”[14] – მინადორა

[14] https://jam-news.net/?p=6324&lang=ka

ტოროშელიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, მენშევიკი, სოციალური მოღვაწე.

მინადორა ტოროშელიძე იმერელი ქალი იყო, რომელიც ჟენევაში წავიდა სასწავლებლად და იქ მედიცინასთან ერთად მარქსიზმიც შეისწავლა. მოგვიანებით ჟენევაშივე გაცნობილ ქმართან, "ბოლშევიკ" მალაქიასთან ერთად თბილისში დაბრუნდა და აქტიურ "მენშევიკურ" საქმიანობას ეწეოდა. მინადორამ 1918 წელს კიდევ 4 ქალთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი იგი არალეგალურად მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. თავისი ანტისაბჭოთა მოღვაწეობის გამო, ის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. მინადორას დაუხვრიტეს ქმარი და შვილები.

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე

ის კრებდა საქალაქო და რეალური სკოლის მოსწავლეებს და ასწავლიდა მათ "მარსელიეზას" სიმღერას; მაგრამ იმ ადგილას, სადაც ნათქვამია: "ვამპირი – მეფე", იგი ასწავლიდა სიტყვა "მეფისათვის" "ნიკოლოზი" დაემატებინათ. იგი მოსწავლეებს ეუბნებოდა, რომ არ დამორჩილებოდნენ ხელმძღვანელობას და არ ესმინათ დირექტორისთვის.იგივე მახვილაძე ბულვარში სიტყვით მიმართავდა ხალხის ტალღას, სადაც ამბობდა, რომ საჭიროა, ხალხმა თავი მოუყაროს თავის ძალებს, რათა ერთიანი ძალით "არ მივცეთ მომაკვდავ მთავრობას ფეხზე წამოდგომის საშუალება". სახალხო პროცესიებისას ელენა მახვილაძე ხშირად მიუძღოდა მას წითელი დროშით . . ." – ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, "მენშევიკი", პირველი პარლამენტის წევრი, მასწავლებელი.

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე თბილისში დაიბადა და მოგვიანებით ქმართან ერთად სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად; იყო მენშევიკური მთავრობის წევრი და ხელი მოაწერა საქართველოს კონსტიტუციას 1918 წელს. (https://jam-news.net/?p=6324&lang=ka).

ქრისტინე შარაშიძე

” …საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების განმტკიცებაზე შემიძლია ვსთქვა რომ აქ არის ხსენებული ძალა უფლება შემოსული რუსეთის წითელი ჯარის საშუალებით რომელიც წარმოადგენს რეალურ ძალას და მთავრობა შემდგარი ქართველებისაგან წარმოადგენს მხოლოდ ფიქციას და ბატონობა საქართველოში არის უცხო ხალხისა . . .”[15] - ქრისტინე შარაშიძე, “მენშევიკი”, მასწავლებელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

ქრისტინე შარაშიძე 1919 წლის დამფუძნებელი საბჭოს და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. მუშაობდა ჟურნალისტად და მასწავლებლად. აქტიურად იყო ჩაბმული ანტისაბჭოთა მოძრაობაში. არაერთხელ დააპატიმრეს. მისი ოჯახის წევრები კი დახვრიტეს.

ელისაბედ, ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძე

” . . .წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ვცნობ; არ უარვყოფ, რომ სადაც კი ვიყავი გადასახლებაში, ყველა ჩემს ამხანაგთან – გადასახლებულ მენშევიკებთან კარგი ურთიერთობა მქონდა და ისინი ჩემთან დადიოდნენ ხოლმე, არ უარვყოფ, რომ მქონდა მიმოწერა ამხანაგებთან, არ უარვყოფ, რომ ყოველთვის მზად ვიყავი და ვარ, დავეხმარო გადასახლებულ ამხანაგებს, რომლებიც მატერიალურ სახსრებს საჭიროებენ, მაგრამ კატეგორიულად უარვყოფ, რომ გადასახლებაში ვეწეოდი რაიმე არალეგალურ, მენშევიკურ საქმიანობას; ყველა ჩემი კავშირი და ამხანაგური

[15] https://www.ambebi.ge/article/223666-vin-iqvnen-pirveli-deputati-kartveli-kalebi-romlebmac-sakartvelos-istoria-shecvales/

დახმარება წარმოადგენდა პირად სურვილს და არ ატარებდა პარტიულ ხასიათს . . .”[16]- ლიზა ბოლქვაძე, მენშევიკი, დამფუძნებელი კრების წევრი.

ლიზა ბოლქვაძე იმ 5 ქალს შორის იყო, რომლებიც 1919 წელს პირველი არაოფიციალური პარლამენტის ანუ დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ. ბოლქვაძე რამდენჯერმე დააკავეს, გადაასახლეს და ბოლოს დახვრიტეს თავისი ანტისაბჭოთა საქმიანობის გამო.

ანა სოლოღაშვილი

ანა სოლოღაშვილი, მასწავლებელი, მენშევიკი და ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის გადასახლებული ქალი იყო. გადასახლებამდე ანამ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე მოასწრო, მაგალითად, 1918 წელს ხელი მოაწერა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციას.

ანა სოლოღაშივილი – 1882 წელს დაიბადა ანა-ოლა სოლოღაშვილი. ერთ-ერთი იმ ხუთი ქალიდან, რომლებიც საქართველოს ისტორიაში პირველი დეპუტატი ქალები გახდნენ.პარტმუშაკი – 1903 წლიდან ანა სოლოღაშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მოგვიანებით, პარტიაში განხეთქილების შემდეგ “მენშევიკებს” მიემხრო.

პირველი კონსტიტუცია – 1918 წელს ანამ ხელი მოაწერა საქართველოს კონსტიტუციას, 1919 წელს კი იგი დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს.

ანტისაბჭოთა საქმიანობა- 1921 წლიდან, ანუ საქართველოს გასაბჭოების დღიდან, იგი სხვა მენშევიკების მსგავსად ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა. 1925 წლიდან ანა მასწავლებლადაც მუშაობდა.

პატიმრობა – 1937 წელს ანა სოლოღაშვილი შინსახკომმა დააპატიმრა. ე.წ “ტროიკამ მას დახვრეტა მიუსაჯა. სოლოღაშვილს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა და

[16] https://www.ambebi.ge/article/223666-vin-iqvnen-pirveli-deputati-kartveli-kalebi-romlebmac-sakartvelos-istoria-shecvales/

ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის და „შოვინისტური“ განწყობების დანერგვა, ასევე „მენშევიკთა“ ლიდერ, რამიშვილთან კავშირი.

დანართი

დანართი N1 **ვაჟა-ფშაველა ქალთა უფლებების შესახებ**

სადღეისო წერილი მეგობართან

„მეგობარო! დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამა საკითხზე გაჭიანურებულს პასუხს არ მოგცემ და იმის კვლევას, თუ რა როლს ასრულებდა დედაკაცი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის და სხვ., არ გამოვუდგები, რადგან ამის განმარტვას მთელი ტომები მოუნდება, ჩვენ კი დრო არა გვაქვს ამისთვის საკმაო. მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ, დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა მალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ველირსებოდით. დედაკაცები ამდენს სიჯიუტეს არ გამოიჩენდნენ, როგორსაც დღეს იჩენენ მაღალი სფეროს მაღალნი პირნი_ისინი ხომ მამაკაცები არიან _ "კაი ბიჭობად", "გულ-მაგრობად" არ გაასაღებდნენ თავიანთ სიჯიუტეს, ვინაიდგან დედაკაცნი უფრო ლმობიერნი, გრძნობიერნი არიან და დღევანდელი ცხოვრება ყველაზე მეტად რას მოითხოვს, თუ გარდა ერთის გრძნობისა, რომელსაც ეწოდება შებრალება, შეწყნარება. იფიქრე, თუ ასე არ იყოს. მიიხედ-მოიხედე, სად არის ეს შებრალება?! კაცი ძვალ-ტყავად ქცეული გემუდარება, გეხვეწება: "კაცო, ღმერთი-რჯული, მთელი ერთი კვირაა მშიერი ვარ, სული ამოდის. ეს არი ვკვდები, წყალობა მოიღეო!" მე და შენ იმას ყურს არ ვათხოვებთ და ჩვენს ქცევას გავამართლებთ სხვადასხვა ფილოსოფიურის მოსაზრებით; გამოვჩხრეკთ ხრიკიანს მოძღვრებას და იმის წყალობით წინაშე ქვეყნისაც თავს გავიმართლებთ და თავის თავთან ხომ მართალნი ვართ და მართალნი. მაგრამ დედაკაცი ამას არ იზამს, ერთ გროშს მაინც მიაწვდის... მრწამს მე ეს და ამიტომ მენატრება, რომ დედაკაცს მიეცეს ისეთივე უფლება, რაც მამაკაცს,

როგორც სწავლაში, ისე სამსახურში... შენ როგორც გნებავს, იფიქრე; საჭიროა გაქვავებული გული მამაკაცისა გაათბოს დედაკაცის ხმამ და მისი რწმენა, რომ მამაკაცი ვარ, მე ადვილად არ უნდა გავტყდე, არ უნდა მოვიხადო ქედი ხალხის მოთხოვნილების წინაშე, რათა სილაჩრე არავინ დამწამოსო, უნდა მოათავსოს კეთილგონიერების ფარგალში იმავე დედაკაცის ხმამ...

დანართი N2

ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ 1893 წელი პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობდენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გზით დაეცათ და დაემდაბლებინათ. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ: შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეჰხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექ, სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო. თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფრთები, დაიჭირა ვრცელი ასპარეზი და სთქვა: მე რადგან კაცი ვარ, გავსწევ, გავქუსლავ ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭევრმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა ხელთ მიპყრიაო. გაიფართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო: თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო. მართალია, დედაკაცისთვის თვით ბუნებას არ მოუცია ვრცელი ასპარეზი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დააწვება ოჯახის მოვალეობა. მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის გაწევა. მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით, გამოყრუებული და გამოფშუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თავლის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ვინ მოსთვლის, რა არ უწოდებია კაცს, ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, და, ცოლი და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთის ძალით და ერთის ბუნებით

არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა სიტყვებით: მზე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო. ახლა ბრძანეთ, ამგვარ გზაზედ დაყენებული, უსწავლელი და შებორკილი არსება, პირუტყვულ წრეში მყოფი ცუდიც რომ გამოსულიყო, ვინ იყო პასუხისმგებელი? ამოდენი საუკუნოების განმავლობაში ამ გვარად მომდინარეობდა ქალების ვითარება და ყურადღება არავისა ჰქონდა მიქცეული, მხოლოდ კაცთა გამოხსნისათვის განხორციელებულმა უფალმა, ჩვენმა იესო ქრისტემ ბრძანა: არა არს გარჩევა არცა მამაკაცთა და არცა დედაკაცთაო. მაგრამ რა წრესაც კი პირველად დაადგა კაცი, იმ წრის გადაცილება სჯულის გარდამავლობად მიაჩნდა. საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფიარაღზედ იყვნენ დაყუდებულნი? თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია. დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა. ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს-რა. ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან, თუკი საქმეს უშველიან რასმე.

დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“,№16

დანართი N3



საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთარი იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„ბრალად საუკუნეა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ეოველ მხრით მტრისაგან შეკიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი კანონიერ ეიო საქართველო კარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის შედეგობამ რუსეთში ისეთი ძლიერი წეობილება შექმნა, რომ მთელი სათმრი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩენ რა თავისი ბედნიერ ამრად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იგვეს თავს საკუთარი საშეების კეთილად და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ კარეშე ბედია სედეკანელნით ამიერკავკასიის ერთა შემორეული კეკნრი დაირღვა და მათ ამიერკავკასიის პოლიტიკური ბედლანობაც დაიბადა.

„ქართული ერის დღევანდელი მდგომარეობა ბუკილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი სიმაგლებით კარეშე ბედის მიერ დაპერობისაგან თავი კედაირჩინოს და დამოუკიდებელ კანონიერების მტკიცე საფუძველი ააკოს.

„ამისგან თანხმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ერილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წყვრთან კეთილმეზობლური ანწყობილება დამყაროს, განსაკუთრებითი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველეყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კანონთარების თავისუფალ ასპარეზს ეაუწესებს მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ ერების შეერბამდე მთელის საქართველოს მართვა-კამეგობის საქმეს უმეტესი ეროვნული საბჭო, რომელიც მეკუსეული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმეგებელია საბჭოს წინაშე.

დასკვნა

საქართველოს ისტორიაში, ისევე როგორც ზოგადად, მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ქალის ხმა დაკარგულია. ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარი ძალისხმევას, გაუმკლავდეს დომინანტურ ისტორიულ დისკურსს და ქართველის ქალების პერსპექტივიდან აჩვენოს საქართველოს ისტორიის არც ისე შორეული წარსული, როდესაც ქალები ცდილობდნენ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეს იყო პირველი მცდელობა, ერთად მოვუყაროთ თავი ქართველი ქალების მრავალმხრივ და მრავალფეროვან შემოქმედებას, რაც ასევე საშუალებას გვაძლევს ნაციონალისტური პერსპექტივიდან შევხედოთ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს და ვიცოდეთ იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც კატო მიქელაძემ და სხვებმა დაგვიტოვეს.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი ქალებისა და ქართული ნაციონალიზმის ურთიერთკავშირი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ასევე ამ ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტები. ქალებმა თავიანთი მოღვაწეობით ნაწილობრივ, მაგრამ მაინც შეძლეს საკუთარი წვლილი შეეტანათ ნაციონალიზმის ფორმირებაში არსებული რეალობის გათვალისწინებით. თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ ნაციონალიზმი ზოგჯერ წარმოადგენს ეროვნული გრძნობების სინონიმს, ზოგჯერ ეროვნულ მოძრაობას, ზოგჯერ კი იდეოლოგიის სახით წარმოგვიდგება (დავითაშვილი,2006,45გვ), ქალთა მოძრაობა საქართველოში ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში ხელშემწყობ აქტორად. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ნაციონალიზმი შესაძლოა პოლიტიკურ მოვლენასთან და კულტურასთანაც ასოცირდებოდეს. ამ უკანასკნეშიც დიდი იყო ქალების თანამონაწილეობა.

ნაშრომში შევეცადე დამემტკიცებინა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალთა მოძრაობა, ქალების წინ წამოწევა საზოგადოებაში, ისევე როგორც მათი აქტიური მუშაობა სხვადასხვა

სფეროში, გახდა თანამონაწილე ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბისა, იქონია გავლენა მის გაღვივებაზე. ჰიპოთეზის დადასტურება მოხდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის განხილვის და ანალიზის გზით.ნაშრომის ძირითად ნაწილში მიმოხილულია ქართული ნაციონალიზმის ფორმირების პროცესები, აღნიშნულ პროცესებში კი ქალების ჩართულობა მტკიცდება სხვადასხვა მაგალითებით. იმ დროის პრესის საშუალებით კი მარტივი გახდა აღნისნული კავშირის ილუსტრაცია.

ჰიპოთეზაში მოცემული დებულების მეცნიერული თვალსაზრისით გამყარების მიზნით ზემოთ წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ქალთა მოძრაობა თავისი ელემენტებით გახდა სივრცე, სადაც ხდებოდა საზოგადოების მსგავსი ინტერესებისა და სურვილების წარმოჩენა, რაც აერთიანებს საზოგადოების ისეთ წევრებსაც, რომლებიც ერთმანეთს შესაძლოა არც კი იცნობდნენ (ანდერსონი, „წარმოსახვითი საზოგადოება“). თეორიული ჩარჩოს მიხედვით კი მოხდა ემპირიული მასალის გაანალიზება და კლასიფიცირება მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ქალთა როლისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებაზე.

პირველ რიგში, დავინახე, პრესის საშუალებით როგორ მოხდა მასების მობილიზება. მასალების გაანალიზებისას ნათელი გახდა, თუ რამდენად ჩართული იყო ქართველი მოსახლეობა აღნიშნულ პროცესებში. როდესაც ქართულ ნაციონალიზმს ვახსენებთ პირველი ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი გვახსენდება. თუმცა პროცესების ღრმად კვლევამ გვაჩვენა, რომ ქალებმაც საკმაოდ ითამაშეს როლი.

ერნსტ გელნერის მტკიცებით, ნაციონალიზმი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ზოგადი სოციალური პირობები აყალიბებს სტანდარტიზებულ, ჰომოგენურ კულტურას, რაც ერთიან ლიტერატურულ ენასა და ერთიან განათლების სისტემას ემყარება. იგი მოიცავს არა მარტო ელიტარულ უმცირესობას, არამედ მთელ მოსახლეობას. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის მაღალი სოციალური მობილობაც.ბენედიქტ ანდერსონს ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების მთავარ ფაქტორად ენა მიაჩნია. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ, გაზეთების და წიგნების ენად იქცევა, სრულდება ენის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი. ამის შემდეგ იწყება პოლიტიკური ერთობის აუცილებლობის გაცნობიერება,

რისი მიზანიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნაა. Ჩნდერსონი ნაციონალიზმის გაძლიერებას ევროპაში „ბეჭდური კაპიტალიზმის“გავრცელებას უკავშირებს. Ѿარალელი შეიძლება გაგავლოთ თერგდალეულებთან, როლებმაც ხელი შუწყვეს ჟურნალ–გაზეთების ადგილობრივ, დემოკრატიულ ენაზე დაბეჭდვას და ამ პროცესში ქალების ჩართულობას. Ѣათმა აქტიურმა პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ნაციონალიზმის გავრცელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ანდერსონი, ბ. (2003)- *წარმოსახვითი საზოგადოება.* თბილისი

გოგიშვილი,დ;ოსეფაშვილი, ი;გავაშელაშვილი,ე; გუგუშვილი,ნ. (2016)- *ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია“ .თბილისი.*

დავითაშვილი, ზ. (2003). - *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი

კიკნაძე, თ; დონაძე, ნ. (2006)- *გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი.* თბილისი

ლორთქიფანიძე, მ. (2012). - *საქართველოს ისტორია.* თბილისი

მელაშვილი, თ. (2013)- *კატო მიქელაძე ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები.* თბილისი

ნოდია, გ.

ობოლაძე, უ. (1953) - *სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I.* თბილისი

ჩხაიძე, ი. (2009). - *ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური ოროექტი („თერგდალეულები“).* თბილისი

ჩხაიძე, ი. (2016). - *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში.* თბილისი

ჩიქოვანი, ნ; ჩხაიძე, ი; წერეთელი, ი; მაცაბერიძე, დ; კაკიტელაშვილი, ქ. (2014) - *იდენტობის ნარატივები საქართველოში:ქართველი ერის სათავეებთან(1860-1918).* თბილისი

ჭავჭავაძე, ი. (1987).- თხზულებები. *დედათა საქმე და ქალთა განათლება.* VI ტომი. თბილისი

ხომერიკი; ჯავახიშვილი (2005)- *ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარი და XX დასაწყისი.* თბილისი

ჯონსი, ს (2013). - *საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე.* თბილისი

ჯორჯაძე, ბ. (1986) - *ლექსები, პიესები, მოთხრობები, წერილები,* თბილისი

Anderson, B. (2006*). Imagined Communities- Reflections on the Origin and spread of nationalism. London/ new York: Verso*

Hobsbawm, E. (1983). *The Invention of Tradition*. Cambridge: Cambridge University Press

Hutchinson, J. (2013). *Cultural Nationalism. In J. Breuily, the Oxford Handbook of the history Of Nationalism.* Oxford University Press

გაზეთები

„დროება“, #119, 11 ივნისი, 1882 წელი.

„დროება“,#68, 4 ივლისი, 1874 წელი.

„დროება“ , #18 , 11 მაისი, 1873 წელი.

„დროება“, #422, 10 მაისი,1874 წელი.

„ერთობა“, #105, 25 მაისი, 1918 წელი.

„ერთობა“,#107, 28 მაისი, 1918 წელი.

„ერთობა“, #109, 30 მაისი, 1918 წელი.

„ივერია“, #1, 1 იანვარი, 1902 წელი.

„ივერია“, #47, 4 მარტი, 1889 წელი.

„ივერია“, #100, 13 მაისი, 1895 წელი.

„ივერია“, #103, 18 ივნისი, 1895 წელი.

„ივერია“, #104, 19 ივნისი, 1895 წელი.

„ივერია“, #113, 29 ივლისი, 1895 წელი.

„კვალი“, #17, 16 აპრილი, 1895 წელი.

„კვალი“,#21, 23 მაისი, 1893 წელი.

„კვალი“, #22, 30 მაისი, 1893 წელი.

„კვალი“, #25, 15 ივნისი, 1897 წელი.

„კვალი“, #27, 4 ივლისი, 1899 წელი.

„ცნობის ფურცელი“, 1551, 12 აგვისტო, 1901 წელი.

„ცნობის ფურცელი“, #2116, 6 აპრილი, 1903 წელი.

„ცნობის ფურცელი“, #2124, 17 აპრილი, 1903 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #6, 18 მაისი, 1917 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #7, 28 მაისი, 1917 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #19, 17 აგვისტო, 1917 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #20, 24 აგვისტო, 1917 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #27. 19 ოქტომბერი, 1917 წელი.

„ხმა ქართველი ქალისა“, #32, 4 დეკემბერი, 1917 წ.

„ხმა ქართველი ქალისა“, #17, 20 ივლისი, 1918 წელი.

ელ.რესურსები

https://1tv.ge/audio/sakhlisken-qalebi-romeltac-epoqistvis-ucnaurad-tamami-nabijebis-gadadgma-shedzles/ ნანახია -12.07.2018

http://gdi.ge/ge/publication/barbare-djordjadze.page ნანახია- 12.07.2018

http://nateba.websail.net/biographies/180-tsereteli-ak ნანახია-30.06.2018

http://www.feminism-boell.org/ka/2016/06/07/kartvelta-shoris-cera-kitxvis-gamavrcelebeli-sazogadoebis-monumenti ნანახია-12.07.2018

https://www.thestatesman.com/opinion/role-of-women-in-nationalist-movements-79791.html ნანახია- 20.05.2018

https://cloudfront.escholarship.org/dist/prd/content/qt056832j6/qt056832j6.pdf ნანახია 20.05.2018

http://www.inquiriesjournal.com/articles/80/who-makes-a-nation-an-examination-of-nationalism-gender-and-membership-in-the-nation ნანახია- 17.05.2018

http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005686/ ნანახია- 26.12.2016 12:30

http://www.womenfundgeorgia.org/?30/436/ 12.26.2016 12:46

http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/04/minadora-orjonikize-toroshelize ნანახია- 26.12.2016 12:51

http://liberali.ge/articles/view/3716/khma-qartveli-qalisa ნანახია- 26.12.2016 12:45

http://mastsavlebeli.ge/?p=4451 ნანახია-26.12.2016 12:28

http://www.nplg.gov.ge/ilia/en/00005693/ ნანახია 17.01.2017 12:53

http://www.tavisupali.ge/siakhleebi/2600-kato-miqeladze-feminizmis-ucnobi-istoriebi.html?lang=ka-GE ნანახია- 15.03.2018

https://www.militarium.org/qartuli-ena-da-nacionalizmi/ ნანახია- 15.06.2018

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Master's Degree Program **Nationalism and Ethnic Studies**

Nino Dzidziguri

Role of Georgian Women in formation of Georgian Nationalism (the second half of the 19th century-1918)

Submitted to obtain

MA Degree in Social and Political Sciences

Supervisor Dr. Irakli Chkhaidze,
PhD in Culture Studies, Assistant Professor

Tbilisi

2018